საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტითის გაფანა ყვეცა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი. 2021 წ. №187 (9306) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ვინც 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას, პროვოკატორ ნაციონალთა მიერ დაგეგმილ დამნაშავე ექსპრეზიდენტის კანონიერი პატიმრობიდან დასახსნელ მიტინგზე მივა, ისინიც ოპოზიციის ბოროტმოქმედების თანამონაწილენი გახდებიან!

თუ მეცოდებოდეს, შობელქალი ვიყო! 3

სად ზვიად გამსახურდია და სად ბილწი სააკაშვილი!!! 4

„მიშას თავის გაქცეულ კრიმინალ ძმაკაცებსაც გვერდით მივუსვამთ...“ 4

„სააკაშვილის სასამართლო პროცესი დახურული იქნება!“ 5



საპატრიარქო სვეტიცხოვლობაზე გვიწვევს!

საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციით, 14 ოქტომბერს, ხუთშაბათს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საზეიმო წირვა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაიწყება დილის 10 საათზე.

წლეულს ტრანსპორტით გადაადგილებისთვის საშვები საჭირო არ იქნება.

უფასო ავტობუსები მცხეთის მიმართულებით გავა საქართველოს საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიიდან დილის 08 საათიდან.

ყველას გთხოვთ, იქონიეთ პირბადე და დაიცავით დისტანცია!

ბათუმის ტრაგედიის გაკვეთილი

მშენებლობის სამინისტროს გაუქმება დიდი შეცდომა იყო! 5

თბილისსა და რეგიონებში მდებარე საბჭოთა დროინდელ შენობებს ექსპლუატაციის ვადა ამოწურული აქვთ

ნუგზარ ბ. რუხაძე

ვინ და რა ძალა ამოძრავებს მსოფლიოს?!..

პოლიტიკური პალიტრა 6



„რუსეთის გამოწვევაზე ნატოს ფოკუსირების შენარჩუნება“...

ნატოს ღია კარის პოლიტიკის მიმართ ურყევ მხარდაჭერას ვადასტურებთ, რომელსაც ვერცერთი მესამე ქვეყანა ვეტოს ვერ დაადებს, — ამის შესახებ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაშია ნათქვამი სახელწოდებით **„რუსეთის გამოწვევაზე ნატოს ფოკუსირების შენარჩუნება“**.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთის მიერ საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას გმობს.

„ნატოს საპარლამენტო ასამბლეა გმობს რუსეთის მუდმივ ძალისხმევას ამ ქვეყნების დესტაბილიზაციის მიზნით, მათი ევროპული და/ან ევროატლანტიკური ინტეგრაციის რელსებიდან გადაყვანასა და უგუნური და უპასუხისმგებლო ესკალაციის წახალისებას“, — ნათქვამია რეზოლუციაში.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა შეშფოთებას გამოხატავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების მიმართ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებისა და ეთნიკური დისკრიმინაციის გამო, ხაზს უსვამს რუსეთის ფედერაციის მიერ ევროკავშირის შუამავლობით მიღებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების განხორციელების აუცილებლობასა და ხაზს უსვამს იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების უფლებას, თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.

გარდა ამისა, ნატოს საპარლამენტო ასამბლეა ხაზს უსვამს რუსეთის მეზობლების მიერ ალიანსების არჩევის განუყოფელ უფლებასა და ნატოს ღია კარის პოლიტიკის მიმართ ურყევ მხარდაჭერას, რომელსაც ვერცერთი მესამე ქვეყანა ვეტოს ვერ დაადებს.

პრეზიდენტი: ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი რესურსი და საზღვარგარეთ გასატანი ღირებულება - ჩვენი კულტურაა!

პრეზიდენტმა ვენაში ვიზიტი ავსტრიაში მოღვაწე ქართველებთან სამუშაო შეხვედრით დაიწყო, რომელსაც სახელოვნებო და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პრეზიდენტთან შეხვედრაზე ცნობილმა მუსიკოსებმა, კომპოზიტორებმა, საოპერო სფეროს წარმომადგენლებმა, ასევე, ექიმებმა და სამედიცინო სექტორში მოღვაწე მეცნიერებმა პრეზიდენტს ის საკუთარი ინიციატივები წარუდგინეს, რომელთა განხორციელებაც საქართველოში აღნიშნული მიმართულებების განვითარებას და პროგრესს გამოიწვევს.

ვენაში მოღვაწე სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების განცხადებით კარგი იქნება, თუკი საელჩოსთან თანამშრომლობით ვენაში შეიქმნება ქართული კულტურის ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ხელოვნებისა და კულტურის პოპულარიზაციას.

„ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი რესურსი და გარეთ გასატანი ღირებულება ჩვენი კულტურაა. ამ მხრივ ნებისმიერ სახელმწიფოს გაუჭირდებოდა იმდენის გაკეთება, რაც თითოეულ თქვენგანს თავისი ნიჭითა და შრომით შეუძლია. დღეს თავისუფლების დრო და ეს თავისუფლება გვაძლევს საშუალებას, რომ ყველამ წარმოაჩინოს საკუთარი თავი. ეს წარმატება თქვენია, თუმცა ის სახელმწიფოსიცაა“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

შეხვედრისას საუბარი შეეხო სტუდენტების გაცვლითი პროგრამების ახალი მიმართულებების შექმნასა და დაფინანსებას, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებში ქართველი სტუდენტების სწავლის საფასურის ევროკავშირის მოქალაქეების სწავლის საფასურთან გათანაბრების საკითხს, რომელიც შეხვედრაზე საქართველოს ახალგაზრდა ელჩმა მარიამ რურუამ დასვა და აღნიშნა, რომ ქართველი სტუდენტებისათვის ძალიან დიდი შეღავათი იქნება, თუკი ეს საკითხი მოგვარდება. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, აღნიშნული თემა საქართველოს ევროკავშირში სექტორული ინტეგრაციის მიმართულებებში განიხილება. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკითხი უკვე განიხილა ბრიუსელში დავიდ სასოლისთან შეხვედრისას და იგეგმება, რომ ეს თემა გადაიჭრას ევროკავშირის თითოეულ წევრ ქვეყანასთან თანამშრომლობით. პრეზიდენტმა საჩუქრად ხელოვანებს სანოტო წიგნები გადასცა.

ჰოფბურგის სასახლეში სალომე ზურაბიშვილის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა

ალექსანდერ ვან დერ ბელენმა და **სალომე ზურაბიშვილმა** პატივი მიაგეს ავსტრიის რესპუბლიკის სამხედრო ფედერალურ დროშას და შესრულდა საქართველოს და ავსტრიის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. პრეზიდენტებმა ერთმანეთს დელეგაციები წარუდგინეს.

ავსტრიის პრეზიდენტი: ავსტრიასა და საქართველოს იმაზე მეტი საერთო აქვთ, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს

ალექსანდერ ვან დერ ბელენის თქმით, ორ ქვეყანას ძალიან მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები აკავშირებთ.

„საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის მდგრადი განვითარება. მთელი ევროკავშირი ამ მიმართულებით მიდის და საქართველოც ერთ-ერთი პრიორიტეტული ქვეყანა იქნება ავსტრიის ეკონომიკური განვითარების კუთხით თანამშრომლობისას. მძიმე დროს, კოვიდპანდემიისას, ჩვენ ვაგრძელებდით ურთიერთობას. ავსტრია ერთ-ერთი პირველი პარტნიორი ქვეყანა იყო, რომელმაც საქართველოს ვაქცინები გადასცა“, — აღნიშნა ავსტრიის პრეზიდენტმა.

საპილოტე რეგიონების პროგრამა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 12 საკითხი განიხილა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კონკურსის შედეგად, პროგრამით გათვალისწინებულ დაფინანსებას მიიღებს სამი სახელმწიფო სააგენტო: **ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“.**

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა გულისხმობს მიზნობრივი ღონისძიებების დაფინანსებას საქართველოს ოთხ რეგიონში — კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი.

პროგრამა საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 20 დეკემბერს დაამტკიცა და მისი წინასწარი ბიუჯეტი 63.75 მილიონი ევროა, საიდანაც ევროკავშირის მიზნობრივი დახმარება 53.75 მილიონ ევროს შეადგენს.

საპილოტე რეგიონების პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ამაღლებას, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ინოვაციების ხელშეწყობას, სიღარიბის შემცირებას და საბოლოოდ — თბილისსა და საპილოტე რეგიონებს შორის სოციალური და ეკონომიკური უთანაბრობების ეტაპობრივ აღმოფხვრას.

* * *

მთავრობამ პანდემიით დაზარალებული მოქალაქეების, ბიზნესის, მეწარმეების მხარდასაჭერად, მორიგი გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, შეღავათები შეეხება იმ პირებსა და სუბიექტებს, რომლებსაც სარგებლობით, მაგალითად, იჯარით, ქირით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან გადაცემული აქვთ სახელმწიფო ქონება და იმ პერიოდში, როდესაც ყველაზე მკაცრი შეზღუდვები იყო დაწესებული პანდემიის გამო, ან ვერ შეძლეს სარგებლობის საფასურის დროულად გადახდა, ან შეძლეს ნაწილობრივ, რის გამოც, კანონით დაეკისრათ პირგასამტეხლო.

ჯამში 1652 პირს, 2020 წლის 21 მარტიდან 2021 წლის 21 მარტამდე პერიოდში, ჰქონდა 5 071 875 ლარისა და 100 608 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება სახელმწიფო ქონებით სარგებლობისთვის. მთავრობის გადაწყვეტილებით, იმ პირებს, რომლებმაც ან საერთოდ ვერ შეძლეს, ან ნაწილობრივ მოახერხეს სახელმწიფოს წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულების შესრულება, ეპატიებათ გადაუხდელი თანხები, რაც დაახლოებით მილიონამდე ლარია და ასევე დაკისრებული პირგასამტეხლო, რომლის ოდენობაც 700 000 ლარს აღემატება. ხოლო იმ პირებს, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში - 2020 წლის 21 მარტიდან 2021 წლის 21 მარტამდე, სრულად ან ნაწილობრივ გადაიხადეს სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებით განსაზღვრული თანხები, ეს ჩაეთვლებათ მომავალი პერიოდის ვალდებულების შესრულებაში. ჯამში, ჩათვლილი თანხის ოდენობა 4 500 000 ლარს აღემატება.

ცესკოს მუშაობას არ აცლიან!

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) სახალხო დამცველს, ადგილობრივი, საერთაშორისო სადამკვირვებლო და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს ღია წერილით მიმართა. საკითხი კი საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებულ ზეწოლის ფაქტებს ეხება.

ცესკოს ინფორმაციით, ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის და კომისიის თავმჯდომარის მირანდა მესხის მიმართ კამპანიურად წარმოებული ცილისწამება, სიძულვილის ენა და შეურაცხყოფაა, რაც საჯაროდ — აქტიურად ვრცელდებოდა როგორც სხვადასხვა წყაროების მიერ, ისე სოციალურ ქსელებში. ამ ორგანიზაციებს ცესკომ ვიზუალური მასალაც მიაწოდა.

„ეს კამპანია კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის მხრიდან ჯერ კიდევ არჩევნების ღამეს დაიწყო, როდესაც მან ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, მირანდა მესხს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში ჩარევა დააბრალა. ზეწოლა ხორციელდებოდა როგორც საოლქო კომისიაში მყოფი პირების მხრიდან, ასევე, სოციალურ ქსელში აგორებული კამპანიის სახითაც. ოლქის თავმჯდომარის წინააღმდეგ მიმართული მანიპულაცია, მუქარა და სიძულვილის ენა აქტუალური იყო 7, 8 და 9 ოქტომბერსაც, რაზეც საარჩევნო ადმინისტრაციამ არაერთი განცხადება და მიმართვა გაავრცელა. ამასთან, კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებმა ამ პერიოდშივე მოახდინეს საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობის პარალიზება და დააზიანეს ინვენტარი. გამოიკვეთა მირანდა მესხის მიმართ გენდერული ნიშნის საფუძველზე დისკრიმინაციის ფაქტებიც.

სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით მივმართეთ სახალხო დამცველს, ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს, რომ დაინტერესდნენ ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციით და ხელი შეუწყონ საზოგადოებისთვის საარჩევნო პროცესის შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდებას“, — აღნიშნულია ცესკოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თუ მეცოდებოდეს, შობელძაღლი ვიყო!

საქართველოს ექსპრეზიდენტი (მას არასდროს ვუწოდებ „საქართველოს მესამე პრეზიდენტს“) ციხეშია და დამსახურებულ სასჯელს ელოდება.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მის დამსახურებულ სასჯელს ველოდებით ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ხოლო სააკაშვილი და მისი დამქაშები ყველანაირი მანქანებით ცდილობენ ერთმანეთი გაამხნევონ და მისი ციხეში ყოფნა დესტრუქციისთვის გამოიყენონ.

მისი გათავისუფლების აბსურდული მოთხოვნებით შეძრულია მთელი ე.წ. კრიტიკული მედია, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მისი მომხრეები საერთოდ გასცდნენ ადამიანურობის ყოველგვარ ზღვარს და ამაზრზენ განცხადებებს აკეთებენ.

მაგალითად, საზიზღარი იყო ზუგდიდის მერობის კანდიდატის ანზორ მელიას შფოთვა ტელეკომპანია ფორმულას ეთერში – ხალხნო, გამოფხიზლდით, რა დროს არჩევნებია, რა დროს „ტრაურია“, როცა გვეღუპება მესამე პრეზიდენტი.

ასევე ამაზრზენი იყო მაცაცო სებისკვერაძის ცრემლიანი თვალები მიშას „შიმშილობასთან“ დაკავშირებით.

ჩემთვის სრულიად გასაგებია ხელოვნების ზოგიერთ მოღვაწეთა აღფრთოვანება სტალინის ან ჰიტლერის პიროვნებით, მაგრამ აბსოლუტურად არ მესმის იმ ხალხის, ვინც თავის თავს სერიოზულ ხელოვანს უწოდებს და უყვარს სააკაშვილი.

გასაგებია, რომ მოგწონდეს გრანდიოზული საქმეები, მოგწონდეს სახელმწიფოზე, ხალხზე ზრუნვა და ვერ ხედავდე ჩადენილ დანაშაულებს, მაგრამ რამ უნდა შეგაყვაროს სამშობლოს მოღალატე სადისტი მკვლელი, რომლის არსებობის ერთადერთი მიზანი საკუთარი ხალხის მტრობა იყო?

ამ ადამიანებს მე ხელოვნების მოღვაწეებს ვერ ვუწოდებ, რადგანაც ხელოვანმა პირველ რიგში თავისი ნატურით უნდა გაითავისოს სახელმწიფოს და მისი მოსახლეობის ტკივილი და სიხარული.

და რა კარგი ნაწარმოებებიც არ უნდა ჰქონდეთ შექმნილი ამ ხალხს, შეუძლებელია ისინი მოღვაწეთა რანგში აიყვანო.

ისინი მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური ფრაზით „ხელოვნების მუშაკი“ ხასიათდებიან და ის, რაც მათ გააკეთეს, არა შემოქმედის ნაღვაწი, არამედ უბრალოდ კარგი ხელოსნის ნამუშევარია.

* * *

გულის ამრევია ნიკა გვარამიას „შეშფოთება“, რომელიც აგრესიული ლიბერალიზმის პიკად შეიძლება ჩავთვალოთ. ეს მღილი ამბობს, რომ საპატრიარქომ მიხეილ სააკაშვილს „სეფისკვერები“ შეუგზავნა და ეს არის წამება.

ცხადია, წამებაა, როცა ვამპირს მზის შუქს დაანახებ.

ცხადია, წამებაა, როცა მაქციას ნაკურთხ წყალს მიაწვდი.

ცხადია, წამებაა, როცა ახალ ტელევიზორში ნახავს, თუ როგორ თქვლეფენ მისი მოყვარული „ცნობადები“ ლობსტერის კუდის ჩაქაფულს.

ცხადია, ყველაფერი წამებაა მისთვის და, როგორც ლიმონამ უთხრა შოშიას, თუ მეცოდებოდეს, შობელძაღლი ვიყო!

* * *

საშინელებაა სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით აქციების ორგანიზება და იმ იმედით, რომ ამ მკვლელს და კრიმინალს საქართველოს მოსახლეობის ყოველი მესამე უჭერს მხარს.

მიუხედავად იმისა, რომ თაკო ჩარკვიანის დაანონსებულ აქციაზე, ის 322 ადამიანიც არ მივიდა, ვინც მთელი საქართველოს მასშტაბით მას ხმა მისცა, ნაცები მაინც ჯიუტად ცდილობენ თავისუფლების მოედანზე ხალხის შეკრებას და პეტიციებსაც ავრცელებენ.

სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნის პეტიციას ხელისმომწერთა ყველა „არგუმენტს“ ზუსტად შეესაბამება ერთი ძველი გამოთქმა:

თუ გსურს, გაზარდო რძის ნაწარმის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე, ან უნდა გაზარდო მესაქონლეობა, ან უნდა შეამცირო მოსახლეობა.

სააკაშვილმა ამ „ფორმულის“ მეორე ნაწილით ისარგებლა და როდესაც „მეპეტიციეები“ იძახიან, ვთქვათ ბიუჯეტის ზრდაზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ზრდა ხდებოდა არა ბანერებზე დახატული საწარმოების გაზრდით, არამედ უცხოური ვალის აღებით, წარმატებული ბიზნესმენების დარეკეტებით და უზარმაზარი ჯარიმების ხარჯზე.

არსებული „სიტყვის თავისუფლება“ განპირობებული იყო ბეჭდური მედიის განადგურებით, ტელემედიის სააკაშვილზე დაქვემდებარებით და „კომედი შოუში“ უწყინარი, თბილი ხუმრობებით.

ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების გაზრდა ხდებოდა პროფესიონალების „ჩარეცხვით“, ნამდვილი დიპლომების ჩანაცვლება ათდღიანი კურსების სერტიფიკატებით და „ბუჩქების“ თავისუფლებით. კულტურისა და ხელოვნების „გახალხურება“ მდაბიო და პროვინციული აზროვნების „ხელოვანების“ შექმნით.

და ასე იყო ყველა სფეროში.

ასე რომ, 14 ოქტომბერს ხდება სწორედ იმ ხალხის შეკრება, რომლებიც „მოსახლეობის“ შემცირებით სარგებლობდნენ და კვლავ სურთ იმ განუკითხაობის დაბრუნება. სამწუხაროდ, ნაცებმა თავიანთი ნარატივი თავს მოგვახვიეს და დღესაც კი მაინც მათი დღის წესრიგით ვცხოვრობთ.

ხელს მოაწერენ! არ მოაწერენ!..

შევლენ!.. არ შევლენ!..

პროვოკაციებს მოაწყობენ, არ მოაწყობენ!..

ახლა რა ვქნათ, იმაზე ვიფიქროთ, შეჭამა, არ შეჭამა. წნევა 120/90-ზეა, თუ 127/93-ზე და სატურაცია 97-ია, თუ 78?

მაპატიეთ ჩემი უგულობა მაგრამ ძალიან მკიდია!..

(ისა, უკაცრავად და „სატურაცია“ რას ნიშნავს?)

წერილს სააკაშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ამოღებული სიტყვებით დავასრულებ: – **სასამართლო გაოგნებულია!**

ძალიან საშინლად ისმის სტრასბურგის სასამართლოს ეს სიტყვები.

სიტყვები, რომლებიც გვეუბნება, რას გადავრჩით და სიტყვები, რომელიც ის განაჩენია, რომელიც აუცილებლად უნდა აღსრულდეს...

გია გაბრიჭიძე

სააკაშვილი სამარტოო საკანში მხოლოდ საკუთარი სურვილის საფუძველზე იმყოფება

სპეციალური პენიტენციური სამსახური განმარტავს, რომ სიმართლეს არ შეესაბამება მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, მიხეილ სააკაშვილი დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით სამარტოო საკანში იმყოფება.

მათივე განცხადებით, ბრალდებულ/მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილს დაწესებულებაში შესახლებისთანავე დაწესებულების ადმინისტრაციამ შესთავაზა თანამესაკნესთან ერთად ყოფნა, თუმცა მან კატეგორიული უარი განაცხადა, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილი საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე, საკანში მარტო მოთავსდა.

„რაც შეეხება ბრალდებას, თითქოს, სააკაშვილის თანაგუნდელები მასთან შეხვედრას ვერ ახერხებენ, არის სიცრუე და ამას ადასტურებს თუნდაც დღის განმავლობაში მსჯავრდებულ/ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილთან განხორციელებული არაერთი ვიზიტი, რომელიც მედიასაშუალებითაც შუქდება.

მიხეილ სააკაშვილის პირად ექიმს რაც შეეხება, იგი გარეშე პირის სტატუსით სააკაშვილთან შესახვედრად რამდენჯერმე უკვე იმყოფებოდა. ამიტომ, მან პენიტენციურ სამსახურს ხელახალი ვიზიტის განსახორციელებლად ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად, განცხადებით უნდა მიმართოს და დაასაბუთოს მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა. დადგენილი წესის შესაბამისად, პენიტენციური სამსახური განიხილავს მის განცხადებას და პასუხს აცნობებს“, – აღნიშნულია პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შიმშილობს!

საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას განცხადებით, „ნაკლებად აინტერესებს“ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საპატიმროში შიმშილობის საკითხი.

„ის იხდის სასჯელს, რომელიც დაკისრებული აქვს კანონით. რაც შეეხება იმას, შიმშილობს თუ არ შიმშილობს მე, არ მიწყინოთ, მაგრამ არაადეკვატური კითხვაა ეკონომიკის მინისტრის მიმართ. მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შიმშილობს სიღარიბის გამო, საქართველოშიც, ჯერ სამწუხაროდ, სიღარიბის პრობლემა გვაქვს. თქვენ რომ მეკითხებოდეთ, ეკონომიკის მინისტრს, რას ვაკეთებთ ამისთვის ბევრ რამეს ვაკეთებთ, რომ შიმშილის პრობლემა ბოლომდე აღმოიფხვრას საქართველოში და არავის უჭირდეს კვება, სიღარიბეს ვებრძოლოთ, მაშინ იქნებოდა სწორი კითხვა ჩემთან. მაგრამ, ეს კონკრეტულად საერთოდ არ მაინტერესებს, მინდა გითხრათ, აი ძალიან ნაკლებად მაინტერესებს“, – თქვა ნათია თურნავამ.

ანრი ოხანაშვილი: მიხეილ სააკაშვილი არის რეციდივისტი...

პოლიტიკური კრიზისი სადაც არ არსებობს, ალოგიკურია რაიმეს განმუხტვაზე საუბარი, ვინ რა ხნით იქნება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ამას წყვეტს კანონი და სასამართლო, – ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა განაცხადა.

როგორც ანრი ოხანაშვილმა აღნიშნა, ქვეყანაში ყველა ადამიანის, ოპონენტის გამოხატვის თავისუფლება დაცულია.

„შესაბამისად, მშვიდობიანი აქციის დროს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები სრულად იქნება დაცული. მივლენ, ჩაატარებენ, შემდგომ დაემშვიდობებიან ერთმანეთს და დასრულდება. იქ, სადაც არ არსებობს პოლიტიკური კრიზისი, ალოგიკურია რაიმეს განმუხტვაზე საუბარი, ვინ რა ხნით იქნება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ამას წყვეტს კანონი და სასამართლო. მიხეილ სააკაშვილი არის რეციდივისტი, ეს სამართლებრივად ასეა. ერთხელ ჩადენილი დანაშაული, რაზეც არის პასუხისგებაში მიცემული, ამის შემდგომ კიდევ ჩაიდინა სავარაუდოდ ახალი დანაშაული, რაც ეხება საზღვრის უკანონო კვეთას“, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.



საღ ზვიად გამსახურდია და საღ ბილწი სააკაშვილი!!!

„გლავკანალის“ გენერალური დირექტორი, რომელმაც სააკაშვილის ადვოკატის ფუნქციაც შეითავსა, ამტკიცებს, რომ სააკაშვილი ამ დღეებში შედგა და მაქსიმალური პარალელი შეუძლია გაავლოს ზვიად გამსახურდიასთან. ნიკუშა გვარამიას აზრით,ზვიად გამსახურდია არის ამ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიული ფიგურა, რომელმაც დამოუკიდებლობა დაუბრუნა საქართველოს, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი ახალი საქართველოს მაცოცხლებელია. დღეს დიდი პარალელიზმია ამ ორ ფიგურას შორის, თავგანწირვის, თავდადების და პატრიოტიზმის კუთხით.

გვარამიასა და „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებით ამ პარალელებს ვერ ხედავენ ანალიტიკოსები, რომელთა შეფასებით, არასერიოზულია საუბარი იმაზე, რომ ზვიად გამსახურდიასა და მიხეილ სააკაშვილს რამე საერთო აქვთ. პოლიტოლოგი **დავით ზარდიაშვილი** ამბობს, რომ გამსახურდია იყო უკომპრომისო, რომელიც ყოველთვის ფართო მასებზე აკეთებდა გათვლას და არა ვიწრო პოლიტიკურ წრეებზე, რაც არ ახასიათებს მიხეილ სააკაშვილს.

„უტიფრობაა! სად ზვიად გამსახურდია და სად ბილწი სააკაშვილი?! – დიამეტრალურად საწინააღმდეგოა. როგორ შეიძლება ეს ადამიანი რამენაირად შეადარო ზვიადს, ეს ყოველგვარ ზღვარს გადასული მკრეხელობაა. დაგმობაა იმ იდეების, რასაც ზვიად გამსახურდია ემსახურებოდა და რასაც შეეწირა კიდეც. აგერ გიული ალასანია ამბობს, რომ მიშა სამართლიანობის აღდგენისთვის შიმშილობსო, ეს არის შეურაცხყოფა იმ შიმშილობების აქციების, როცა ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა შიმშილობდნენ!

50 დღეზე მეტი გაძლო მერაბ კოსტავამ, მშრალ შიმშილობაზე იყო, ბოლოს კბილებს უმტვრევდნენ და ისე აჭმევდნენ. მთელი მსოფლიო გააოგნა მერაბ კოსტავამ. ახლა ალასანია გვეუბნება, რომ შიმშილობს სამართლიანობის აღდგენისთვის, ეს არის სამართლიანობის შეურაცხყოფა! შეურაცხმყოფელია, როდესაც ბედავენ და სააკაშვილს ადარებენ ზვიად გამსახურდიას, წარმოუდგენელი შეურაცხყოფაა იმ იდეების, რასაც შეეწირა ქვეყნის პირველი პრეზიდენტი“, – აცხადებს **დავით ზარდიაშვილი**.

ანალიტიკოს **სოსო მანჯავიძის** შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ მოქმედებებში თანმიმდევრობის და ზნეობრივი მდგენელის ძიება უმადური საქმეა. მათ არ აინტერესებთ თანმიმდევრულობა და ლოგიკურობა. სააკაშვილის ფსიქიკისთვის დამახასიათებელი ნიშანია იმის წამოროშვა, რაც იმ მომენტში არის საჭირო, რადგან გათვლა აქვს იმაზე, რომ ადამიანებს მოკლე მეხსიერება აქვთ.

„ასეც არის, მის მომხრეებს მოკლე მეხსიერება აქვთ. მეგის ქარდავაზე გვითხა, რომ საერთოდ არ ვიცნობდიო, მერე გერგაიაზეც იტყვის, არ ვიცნობდიო. მის საუბარში სიმართლის ძიება არის უაზრობა. სააკაშვილი არის ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია სიმართლის თქმა. ხან ზვიად გამსახურდიას მომხრეა, ხან უკრაინის მოქალაქეა და საქართველო არ აინტერესებს, ხან საქართველოსთვის თავგანწირული რაინდია, ხან დავით აღმაშენებელია, ხან ვინ არის და ხან ვინ. სამწუხაროა, მაგრამ აი, ამ სუბიექტს ჰყავს მომხრეები, რომლებიც აჯანჯღარებენ ამ ქვეყანას.

გამსახურდია და კოსტავა თვეობით შიმშილობდნენ. წარმოგიდგენიათ, რომ მათ მიშა სააკაშვილივით თაფლის და წვენების შიმშილობა გამოეცხადებინათ?! ეს ხომ აბსოლუტურად წარმოუდგენელია. ამიტომ, არასერიოზულია ამაზე საუბარი. ტაკიმასხარაობად გადააქციეს პოლიტიკაც, წარსულიც და აწმყოც. მაგრამ რა გინდათ, კი არ მცირდებიან, მრავლდებიან“, – დასძინა საუბრისას **სოსო მანჯავიძემ**.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი **გიორგი გამსახურდია** ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის ზვიად გამსახურდიასთან შედარება არის უდიდესი დანაშაული. როგორც გამსახურდია ამბობს, სააკაშვილი არის აბსოლუტურად კარიკატურული პერსონაჟი.

„ეს კარიკატურული პერსონაჟი ერის მამას, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას შეადარო, დანაშაულია. წარსულში გვახსოვს, რომ ჟორიკა რურუასაც ადარებდნენ მერაბ კოსტავას. ვკითხულობდი, „ნაცსექტის“ კედელზე როგორ დაათრევდნენ კედლიდან კედელზე ამ სურათს. ეს არის ზუსტად დეგრადაცია“, – აცხადებს **გიორგი გამსახურდია**.

სააკაშვილი ცდილობს საქართველოს პირველი პრეზიდენტის გაკვალულ გზაზე იაროს, ამავე დროს უარს არ ამბობს ისეთ ოდიოზურ ფიგურებზე, როგორიც მაგალითად არის **თემურ გერგაია,** რომელიც 90-იან წლებში ნადირობდა სწორედ გამსახურდიას და მის მხარდამჭერებზე. გერგაია, რომელიც თავისი სისატიკით არაფრით ჩამოუვარდება მეგის ქარდავას და ძმებ ახალაიებს, პოლიტიკურ ველზე ექს-პრემიერმა **გიორგი გახარიამ** შემოიყვანა და მისი საარჩევნო შტაბის უფროსი იყო, ახლა სამეგრელოს ოპოზიციურ ფრთას კურირებს.

თემურ გერგაია ჯაბა იოსელიანის გარეშე მოცვის წევრია, ის 1992 წელს სამეგრელოში 40-კაციან დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა, რომლის სახელთანაც არაერთი კრიმინალური ისტორია ასოცირდება. მხედრიონელი გერგაია 1993-1997 წლებში ხობის გამგებელიც იყო. მიუხედავად კრიმინალური წარსულისა, 2006 წელს გერგაია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხობის მერად დანიშნა.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ ადამიანებს, რომლებსაც სისხლთან ურთიერთობა არ უჭირთ, ქილერის ფუნქციაზე უარს არ იტყვიან. ადამიანები, რომლებიც თავის დროზე სხვებს ავიწროებდნენ, კლავდნენ და იგივე ჯაბა იოსელიანის ჯგუფის დაკვეთით მოქმედებდნენ, ახლა თუ „ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთით იმოქმედებენ, ამით მათთვის არაფერი არ იცვლება.

„როგორც ჩანს, აგრესიული გეგმების შემსრულებლებს ეძებენ და პოულობენ, რაც მოსალოდნელიც იყო „ნაცმოძრაობის“ მხრიდან. რაც შეეხება სამეგრელოს ფაქტორს, გერგაიას ბიოგრაფიის მქონე ადამიანის გამოჩენა პირდაპირ ემსახურება ამომრჩევლის დაშინებას და ზეწოლას. ამიტომ გასაკვირი არ არის გერგაიას გამოყვანა. როდესაც სააკაშვილმა „ნაცმოძარობის“ შექმნა დაიწყო, აქცენტი ევროპულობაზე და მშვიდობიანობაზე ჰქონდა, მაგრამ პარლამენტში ვარდებით შევარდა და ამავე დროს თავის რიგებში ჰყავდა ადამიანები, მათ შორის მხედრიონის წევრები, ზოგიერთი მერე მინისტრებადაც დაინიშნა.

რატომ ჰქონდა ორიენტაცია ამ ადამიანებზე? იმიტომ, რომ ძალის გამოყენება შეუძლიათ, არ ერიდებათ. ამას თავისი პროფესიონალიზმი და ძალადობის პიროვნული თვისებები სჭირდება. ამიტომ, როგორც ადრე არ იყო გასაკვირი „ნაცმოძარაობაში“ მხედრიონის წევრების გამოჩენა, არც ახლა არის გასაკვირი. სწორედ იმიტომ, რომ მაშინაც და ახლაც ძალადობის მქონე უნარის ადამიანები სჭირდება „ნაცმოძარაობას“, – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე**.

ანალიტიკოსის **დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, ისეთ საქმეს რასაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები აკეთებენ, განსაკუთრებული უტიფრობა და ნაძირლობა სჭირდება.

„იმას, რასაც ნაცები აკეთებენ, გერგაიას და ასეთი ნაძირლების მეტი სხვა ვინ იკისრებს?! ნორმალური ადამიანი ამას არ იზამს. ნაძირლები სჭირდება ამას და დიახ, ნაძირლების შეკრება იქნება 14 ოქტომბერს, მცხეთობას. ამას ვინ ჩაიდენს, თუ არა გერგაიასნაირი ნაძირალა. ეს ხომ უტიფრობაა, მცხეთობა დღეს ნაძირალა სააკაშვილის განთავისუფლების მოთხოვნით აქცია გამართო. ეს არის ადამიანი, რომელმაც შეურაცხყო ქართული სახელმწიფოებრიობა“, – ამბობს **დავით ზარდიაშვილი**.

თამთა ძარჩავა

ლადო ბოქაძე: მიშას თავის გაქცეულ

„პატრიარქის მდივანიც ბრძანდებოდა მასთან, მიაწოდა სეფისკვერი, რაც ნიშანი იყო იმის, რომ შიმშილობა შეეწყვიტა. ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა მისთვის, რადგან სააკაშვილი იშიმშილებს თუ არა, ეს პოლიტიკურ განწყობებზე გავლენას ვერ მოახდენს“, – **აცხადებს ანალიტიკოსი ლადო ბოქაძე.**

– ადამიანური პოზიციიდან გასაგებია სააკაშვილის მამის წუხილი, რომ ის ვერ ხედავს სათანადო რეაგირებას თავის შვილთან დაკავშირებით. მათ შორის, ბაიდენზეცაა საუბარი, რომელიც მიშას კარგად იცნობს, მაგრამ მის დასაცავად არაფერს ამბობს. „მსოფლიო უნდა ადუღდეს პეტიციებით“, – **მოითხოვს ნიკოლოზ სააკაშვილი, რომელსაც უკვირს, სად არის ზესტაფონი? სად არის ხაშური? სად არიან გლეხები, მოვაჭრეები, რომლებიც იძახდნენ, „მიშა, ჩამოდი, გვიშველე“, დღეს ისინი ჩუმად არიან. რით არის განპირობებული, რომ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც სრული დუმილია სააკაშვილის გამოსახსნელად? ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო გაერკვა იმაში, რაც ხდებოდა საქართველოში სააკაშვილის პერიოდში მთელი 9 წლის განმავლობაში?**

– პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილს არანაირი საფუძველი არ აქვს, შიმშილობა გამოაცხადოს. მას ყველა პირობა აქვს, ევროპული დონის ციხის საკანშია მოთავსებული, მისი უფლებები ყველანაირად იქნება დაცული ისევე, როგორც ნებისმიერი პატიმრის, რომელიც მოხვდება დღევანდელ პენიტენციურ დაწესებულებაში. მეორე მხრივ, სააკაშვილის ასეთი აქტი, ვგულისხმობ შიმშილობის გამოცხადებას, ეს არის წმინდა პოლიტიკური საკითხი და, ბუნებრივია, მისი დედაც, მამაც, მეუღლეც, შვილებიც, მხარდამჭერებიც განიცდიან ამას. პატრიარქის მდივანიც ბრძანდებოდა მასთან, მიაწოდა სეფისკვერი, რაც ნიშანი იყო იმის, რომ შიმშილობა უნდა შეეწყვიტა. ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა მისთვის, რადგან სააკაშვილი იშიმშილებს თუ არა, ეს პოლიტიკურ განწყობებზე გავლენას ვერ მოახდენს.

რაც შეეხება ქვეყნის შიგნით თუ გარეთ რეაქციას, ყველამ კარგად იცის, რომ მოქმედი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაიქცა ქვეყნიდან, გაექცა ქართულ მართლმსაჯულებას, არა მხოლოდ ქართულ მართლმსაჯულებას... სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება არსებობს გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, რომლითაც მტკიცდება, რომ პირადად მიხეილ სააკაშვილი და მთელი სახელმწიფო სისტემა იყო ჩართული, რომ დაემალათ დანაშაული და დამნაშავეებს ნაკლები ზიანი მისდგომოდათ. თქვენ წარმოიდგინეთ, 2008 წლის ომის შემდგომ სააკაშვილმა „თავი აიწია“ და გამოუშვა გირგვლიანის მკვლელები. პრეზიდენტის შეწყალების აქტი ხომ არ ეხებოდა მუხლს, რომ ვინმეს ეთქვა, ამ მუხლში ეს ხალხი მოჰყვა და ამიტომ გამოვუშვითო, ყველამ ვიცით სახელებით და გვარებით შეიწყალა ეს ადამიანები. ეს სტრასბურგის სასამართლოს მიერაა დადგენილი. იგივე ეხება ვალერი გელაშვილის საქმეს და სხვა მიმდინარე საქმეებს, რომელიც მასთანაა დაკავშირებული. ამიტომ, ბუნებრივია, რეაქცია ქვეყნის შიგნით თუ გარეთ სააკაშვილთან მიმართებით სრულიად მოსალოდნელი და ლოგიკურია.

თუ ადამიანი დამნაშავეა, თუ მას სურს, საქართველოში ოდესმე გააგრძელოს პოლიტიკური საქმიანობა ან ცხოვრება, ის ვალდებულია, არა მხოლოდ მორალურად, არამედ სამართლებრივადაც მოიხადოს სასჯელი ბოლო წამამდე, ის, რაც მიუსაჯა ქართულმა მართლმსაჯულებამ, რომელიც მრავალჯერ უკეთესია, ვიდრე რა მართლმსაჯულებაც მან დატოვა საქართველოში. სრულიად ბუნებრივია მთელი მსოფ-

„14 ოქტომბრის აქციაზე, ალბათ, იქნება იმაზე მეტი, ვიდრე აქამდე გვინახავს. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აღქმა, რომ პატარა პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც არჩევნებზე ვერ გაუმჯობესეს შედეგი, არამედ პირიქით, გააუარესეს, „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტები არიან. შესაბამისად, შესაძლოა, ესეც იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მათ უარი განაცხადეს ამ აქციებში მონაწილეობაზე, რომ ისევ „ნაცმოძრაობის“ სატელიტებად არ გამოჩენილიყვნენ“, – ამბობს ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე.

ზაალ ანჯაფარიძე: სააკაშვილის სასამართლო პროცესი დახურული იქნება!

– რატომლაც მოლოდინი იყო, რომ ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებასა და მის დაპატიმრებას უფრო დიდი ვნებათაღელვა მოჰყვებოდა, რაც რეალურად არ მოხდა. როგორ ფიქრობთ, რატომ? შესაძლოა, თუ არა ვთქვათ, რომ სააკაშვილის ფაქტორმა უკანა პლანზე გადაიწია, თუნდაც ნიკა მელიას ფონზე?

– არ მგონია, რომ მიხეილ სააკაშვილის ფაქტორს უკანა პლანზე გადაეწია, ის რჩება ძირითადად ხმების მომტანად „ნაციონალური მოძრაობისთვის“ და არა ნიკანორ მელია. მიხეილ სააკაშვილის შემოსვლის მეთოდმა, დაპატიმრებამ და მთელმა პერიპეტიებმა, რაც უკავშირდებოდა ამ ყველაფერს, თავისი როლი შეასრულა. ყველა მიხვდა, რომ მიხეილ სააკაშვილი აღარ არის ის მიხეილ სააკაშვილი, რომელიც 2003 წელს იყო. სწორედ ამიტომ დაიწყო შიმშილობა, შექმნა მის გარშემო აჟიოტაჟი, რომ მისგან წამებული გმირის გამოძერწვა მომხდარიყო, რაც ბოლომდე არ გამოუვიდათ.

თავიდანვე შეიქმნა განწყობა, რომ მისი შემოსვლა გამიზნული იყო არეულობის მოსაწყობად, რევოლუციით და ძალადობრივი გზით დაბრუნებოდა ხელისუფლებას. საზოგადოებაში არ არის რევოლუციური მუხტი, რომელიც მას ძალიან უნდა, რომ გააღრმავოს. 14 ოქტომბრის მიტინგი იქნება კარგი ინდიკატორი იმისა, რომ დავინახოთ საზოგადოებრივი მხარდაჭერა რამდენად დიდია მისი პერსონის მიმართ. ეს მხარდაჭერა არ მგონია, რომ იყოს ძალიან დიდი.

ევროპარლამენტარები, რომელიც სააკაშვილს შეხვდნენ საქართველოში ჩამოსვლამდე, პირდაპირ აფრთხილებდნენ, რომ წინააღმდეგი იყვნენ მისი ჩამოსვლის, რადგან ამას შესაძლოა გამოეწვია საქართველოში არეულობა. სააკაშვილმა მათ ყური არ ათხოვა და მაინც შემოვიდა. ამანაც, გარკვეულწილად, გაანელა მის მიმართ ინტერესი დასავლეთში. მათთვის აბსოლუტურად მიუღებელია ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკოსად მიიჩნევს, არალეგალური გზით შემოვიდეს ქვეყანაში, არღვევდეს კანონს. სააკაშვილი რომ ჩამოსულიყო თვითმფრინავით და აეროპორტში დაეჭირათ, მის მიმართ სულ სხვანაირი დამოკიდებულება იქნებოდა.

– ექსპრეზიდენტის ქვეყანაში შემოსვლამ და მისმა დაპატიმრებამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა დღეს, ეჭვი გააჩინა, რომ ეს იყო სააკაშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შორის გარკვეული გარიგების შედეგი. რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?

– ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომელიც ემყარება მხოლოდ და მხოლოდ გადაუმოწმებელ ინფორმაციას.

– თუმცა, ფაქტია, რომ ხმები ძირითადად გადანაწილდა „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის. სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შედეგად მობილიზდა, როგორც „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველი, ასევე ის ნაწილი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ აღარ უჭერს მხარს, თუმცა, არც სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნება სურს...

– დავუშვათ, არ შემოსულიყო სააკაშვილი საქართველოში, დარჩენილიყო უკრაინაში, დიდად შეცვლიდა ეს ორპოლუსიანობას? არც ერთი სოციოლოგიური გამოკითხვა არ მიუთითებდა იმაზე, რომ თუნდაც პატარა პარტიებს უფრო მეტი ხმის მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ. შეიძლება გარკვეული დაშვებით, რომ სააკაშვილის შემოსვლამ ელექტორატი წაართვა პატარა ოპოზიციურ პარტიებს, მაგრამ არა ისეთი მასშტაბით, რომ ამ პატარა პარტიებს მნიშვნელოვად გაეუმჯობესებინათ თავიანთი შედეგი.

სააკაშვილის შემოსვლის ერთადერთი მიზანი იყო ის, რომ მას უზრუნველეყო „ნაციონალური მოძრაობის“ მერყევი ელექტორატის მობილიზაცია, რომელიც დაბნეული იყო თვითონ „ნაცმოძრაობაში“ მიმდინარე პროცესებით, რადგან იქ შიდა წინააღმდეგობები იყო მიშელის დოკუმენტთან დაკავშირებით და პარლამენტში შესვლა-არშესვლაზე. ასევე მოახდინა კონსოლიდაცია იმ რადიკალური ამომრჩევლის ნაწილის, რომელიც ფანატიკოსი მიშისტები არიან.

ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი შიდა სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებით, რომელიც პარტიებმა ჩაატარეს, სააკაშვილის საქართველოში შემოსვლამ 4-5% ხმა მოუმატა „ნაციონალურ მოძრაობას“ და მან ასევე ხმა მოუმატა „ქართულ ოცნებას“. შესაძლოა, ამის საფუძველზე დაებადათ ეჭვი, ხომ არ იყო ეს გარიგების შედეგი.

– და, არ იძლევა ეს იმის თქმის საფუძველს, რომ ეს სწორედ ერთგვარი გარიგება იყო ორ მხარეს შორის?

– „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ახალი თავის ტკივილი სააკაშვილის სახით. სააკაშვილს თუკი მიეცემა საშუალება, რომ საჯაროდ გამოვიდეს სასამართლოში, ეს შეიძლება ხელისუფლებისთვის არცთუ მომგებიანი აღმოჩნდეს. უღირდა ხელისუფლებას ამხელა რისკზე წასვლა 4-5%-სთვის? - შეიძლება უღირდა კიდეც, რომ 43%-იანი ბარიერი თავისუფლად გადაელახა, მაგრამ სააკაშვილი ამისთვის დათანხმდა საქართველოში შემოსვლას და ციხეში ჩაჯდომას? მე მეორე ვერსიაც მოვისმინე, რომ ეს არის ერთგვარი სცენარი, სააკაშვილი გამოვიდეს ციხიდან და მოხდეს ხელისუფლების გადაბარება.

– თუმცა, ასევე არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომ არჩევნების მეორე ტურის შემდეგ, სააკაშვილი ხელისუფლებამ შესაძლოა უკრაინას გადასცეს...

– ხელისუფლების ადგილზე ამ ვარიანტსაც განვიხილავდი, მაგრამ იურიდიულად როგორ მოხდება, დასადგენია. სავარაუდოდ, ხელისუფლებაში ამ ვარიანტზეც მსჯელობენ. ხელისუფლებისთვის მიხეილ სააკაშვილის ყოფნა ციხეში, აშკარად თავის ტკივილია. არ მგონია, რომ არჩევნების მეორე ტურამდე მისცენ საშუალება, ღია სასამართლოზე გამოვიდეს, ან თუ შედგება ეს სასამართლო, იქნება დახურული.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

კრიმინალ ძმაკაცებსაც გვერდით მივუსვამთ...

ლიოს რეაქცია, პოლიტპატიმრად მოიხსენიებენ მას თავისი მომხრეები და სხვა არავინ. ერთ კვირაზე მეტი გავიდა მისი დაპატიმრებიდან და ამ ხნის განმავლობაში არც ერთ საელჩოს, არც ერთ სახელმწიფო მეთაურს, არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას ის არ უცვნია პოლიტპატიმრად, რადგან ყველამ კარგად იცის იმ დანაშაულების შესახებ, რაც პირადად სააკაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. პირადად მეც მოვუწოდებ სააკაშვილს, შეწყვიტოს შიმშილობა, ამის არანაირი საფუძველი არ აქვს, ვიმეორებ, მის შიმშილს არ ექნება არანაირი გავლენა საქართველოს არც ერთ მოქალაქეზე, საკუთარი მხარდამჭერების გარდა. თუმცა იქაც მოტივაცია ნაკლებია. მას ყველა პირობა აქვს, ღირსეულად მოიხადოს სასჯელი.

– როგორი იქნება მისი კარიერა ციხიდან გამოსვლის შემდეგ? როგორც ამბობენ, მას პოლიტიკაში დაბრუნების სურვილი აღარ აქვს, ერთ რამეზე ფიქრობს, ოღონდ ციხეს თავი დააღწიოს.

– როცა სააკაშვილი გათავისუფლდება სასჯელის მოხდის შემდეგ, ისევე, როგორც ვანო მერაბიშვილი გათავისუფლდა, როგორც გათავისუფლდება ბაჩო ახალაია, მას შეეძლება ამ ქვეყანაში პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებაც და ყველა სხვა ნებისმიერი საქმიანობაც.

– სააკაშვილის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით დაწერილი ირაკლი ღარიბაშვილის წერილი ცალკეულმა ადამიანებმა ექსტრადიციისთვის შემზადებად აღიქვეს, თითქოს სააკაშვილი ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანია და მისი ციხეში ჩასმა არ შეიძლება. შეიძლება, ჩვენს მთავრობაში ვინმე მის ექსტრადირებას ფიქრობდეს?

– სამართლებრივი საკითხია აქ მნიშვნელოვანი, ექსტრადირება არ და ვერ განხორციელდება, უკრაინას შეუძლია მოითხოვოს უკრაინის ნებისმიერი მოქალაქის ექსტრადირება, რომელსაც დავაპატიმრებდით საქართველოში იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელიც უკრაინის მოქალაქემ ჩაიდინა უკრაინაში. საქართველოს მართლმსაჯულება კი ედავება სააკაშვილს იმ დანაშაულებს, როცა ის იყო საქართველოს პრეზიდენტი, როცა ის იყო საქართველოს მოქალაქე და დანაშაულები ჩაიდინა საქართველოში. ორ საქმეზე მართლმსაჯულება უკვე დამდგარია, ორ საქმეზე კი მიმდინარეობს სასამართლო პროცესები. ამიტომ ილუზია იმისა, რომ ვინმე უკრაინას გადასცემს სააკაშვილს, საზოგადოების მოტყუებაა. რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილის წერილს, მან ღია წერილში დაწერა ის, რაც ყველამ ისედაც ვიცოდით. ბუნებრივია, სააკაშვილის მდგომარეობა, სამართლებრივიც, პოლიტიკურიც, ფსიქოლოგიურიც ყველასთვის ისედაც ნათელი იყო და ყველამ კიდევ ერთხელ პრემიერ-მინისტრისგან გავიგეთ, რა მიზნით ჯერ გამოიპარა და მერე შემოიპარა საქართველოში მიხეილ სააკაშვილი.

– „რუსთაველი უნდა ზანზარებდეს“, – ასეთია თაკო ჩარკვიანის მოწოდება. როგორ აპირებს ჩარკვიანი რუსთაველის გამზირის აზანზარებას? რამდენად მასშტაბური იქნება მათი აქცია 14 ოქტომბერს?

– თაკო ჩარკვიანმა, რომელმაც თურმე 107 ათასი ხელმოწერა შეაგროვა სააკაშვილის დაბრუნების მოთხოვნით, აღმოჩნდა, რომ 322 ხმა მიიღო მთელი საქართველოს მასშტაბით. აქვე მინდა შეგახსენოთ, პარტიის რეგისტრაციისთვის საჭიროა 300-კაციანი დამფუძნებელი ყრილობა და მერე 1000 ადამიანის, პარტიის წევრის თანხმობა, რომ პარტია გატარდეს რეგისტრაციაში. თაკო ჩარკვიანის პარტიამ კი გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია თავის დროზე იმიტომ, რომ ბლოკში იყო გიორგი ვაშაძესთან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 1000 წევრიდან 678-მა ადამიანმა, ანუ მისივე პარტიის წევრმა არ მისცა ხმა ჩარკვიანს და მის პარტიას. აქედან გამომდინარე, თაკო ჩარკვიანის მოწოდებები, სურვილები გასაკვირია. ასევე, გასაკვირია მისი ოჯახის შვილისგან ასეთი მიჯაჭვულობა მიხეილ სააკაშვილზე. ვერც რუსთაველის გამზირი, ვერც სხვა გამზირი ვერ აზანზარდება ვერც თბილისსა და ვერც ერთ ქალაქში, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ სააკაშვილს კონკრეტული დანაშაულები აქვს ჩადენილი.

მესმის, ძალიან მძიმეა მათი მომხრეებისა და მხარდამჭერებისთვის, სააკაშვილი რომ ზის რუსთავის ციხის საკანში, მაგრამ ის იმსახურებს იმ სასჯელს, რომელიც მიიღო ქართული მართლმსაჯულებისგან და მოიხდის ამ სასჯელს. ეს არ არის ის ციხე, სადაც კლავდნენ, აწამებდნენ, აუპატიურებდნენ ადამიანებს, ეს არის ევროპული სტანდარტების ციხე. ვპირდებით სააკაშვილს და მის მომხრეებს, სხვა გაქცეულ მის მხარდამჭერებსაც, რომლებსაც, ასევე, პრობლემა აქვთ ქართულ მართლმსაჯულებასთან, დადგენილ ვადებში გვერდზე საკნებში მოვუთავსებთ, კანონის უზენაესობა ყველგან და ყოველთვის იქნება დაცული.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

„POSTV"-ის მაყურებელი ყოველ შაბათს უთუოდ თვალყურს ადევნებს ფრიად გამორჩეული ჟურნალისტის, პროფესიონალი საერთაშორისო მიმომხილველის ნუგზარ ბ. რუხაძის საერთაშორისო პანორამას, რომელიც სრულყოფილად მოიცავს მსოფლიოს პოლიტიკურ სურათს. ამიერიდან ჩვენი გაზეთიც კვირაში ერთხელ შესთავაზებს მკითხველს ნუგზარ რუხაძის (გადაცემის რედაქტორი ვანიკო კოტეტიშვილი) პოლიტიკურ თვალსაწიერს და საქმის კურსში ამყოფებს, თუ რა ხდება დღეს ამჟამინდელ არეულ დედამიწის ზურგზე.

ვინ და რა ძალა ამოძრავებს მსოფლიოს?!..

ანგელა მერკელის კოალიციური გერმანია

26 სექტემბერს გერმანიაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. არჩევნების შედეგებს მთელი ევროპა გაფაციცებით ადევნებდა თვალს. ამ არჩევნებზეა დამოკიდებული, თუ ვინ გახდება გერმანიის კანცლერი. როგორც ცნობილია, ანგელა მერკელი აქტიური პოლიტიკიდან მიდის. მისი წასვლით მთავრდება მთელი ეპოქა არამარტო გერმანიისთვის, არამედ ევროკავშირისთვისაც. ბოლო 16 წლის განმავლობაში გერმანიის პოლიტიკა სწორედ მერკელის ირგვლივ ტრიალებდა. იგივე შეიძლება ითქვას ევროკავშირზეც – მერკელს ხომ მის უდავო ლიდერად აღიქვამდნენ! ამიტომ, მთელი ევროპა, და არა მარტო ევროპა, ელოდება, თუ ვინ ჩაანაცვლებს ანგელა მერკელს.

სოციოლოგები წინასწარმეტყველებდნენ, და მართლაც ისე მოხდა, რომ არჩევნებმა ვერ გამოავლინა მოგებული პარტია. წინასწარი შედეგებით ლიდერობს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია თითქმის 26 პროცენტით. მეორე ადგილზე, 24 პროცენტით, ანგელა მერკელის პარტია ქრისტიან-დემოკრატებია, მწვანეებმა ხმების 15-მდე, ხოლო, ლიბერალებმა 11,5 პროცენტი მოიპოვეს, ულტრამემარჯვენე პარტიამ, სახელწოდებით, ალტერნატივა გერმანიისთვის, 10 პროცენტს გადააჭარბა. ანუ, მეტნაკლებად ერთნაირად მიდიან. არჩევნების შედეგებმა იმედები გაუცრუა ყველა პარტიას. უფრო მეტად იმედგაცრუებულები კი მერკელის ქრისტიან-დემოკრატები ჩანან, რომლებმაც ყველაზე ცუდი შედეგი დადეს – მემარცხენე სოციალ-დემოკრატებთან დამარცხდნენ, თუმცა, ესენიც ჩამორჩნენ მოსალოდნელ შედეგს. არ მიკვირს! ასეთი რამ, ზოგადად, ახასიათებს მრავალპარტიულ არჩევნებს. შედეგებიდან გამომდინარე, ვერცერთი პარტია უმრავლესობას ვერ აგროვებს. გამოსავალი კოალიციური მთავრობაა, რაც ხშირად გვინახავს გერმანიის პოლიტიკურ ისტორიაში. ანგელა მერკელის კაბინეტიც კოალიციურ მთავრობას წარმოადგენს. ამით ვერავის გააკვირვებ გერმანიაში, მაგრამ ამჯერად კოალიციური მთავრობა არა ორი, არამედ სამი პარტიისგან შეიძლება ჩამოყალიბდეს. ეს კი ნამდვილი სიახლეა გერმანიისთვის.

მოკლედ, წინ რამდენიმეთვიანი პოლიტიკური პროცესია, რომელიც ქვეყანას მრავალპარტიული მმართველობისკენ მიაქანებს. მოიგებს თუ წააგებს გერმანელი ხალხი ამით, ჯერ ვერავინ იტყვის. თეორიულად, კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების მხოლოდ ორი ვარიანტი არსებობს. ერთი გულისხმობს, რომ კოალიციურ მთავრობაში შევლენ სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები და მწვანეთა პარტია. პარტიების სიმბოლური ფერებიდან გამომდინარე, ამ კოალიციას შუქნიშანს ეძახიან, რადგან სოციალ-დემოკრატები წითლები არიან, ლიბერალები ყვითლები და მწვანეთა პარტია, რა თქმა უნდა, მწვანე. კოალიციური მთავრობის მეორე ვარიანტი სოციალ-დემოკრატებს გამორიცხავს და ასე გამოიყურება: ქრისტიან-დემოკრატები, ლიბერალები და მწვანეები. კოალიციის ამ ვარიანტს, დროშის ფერების გამო, იამაიკას ეძახიან – შავი, ყვითელი და მწვანე. კიდევ ერთი ვარიანტი დიდი კოალიციაა, რომელშიც სოციალ-დემოკრატები და ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი შევა. სწორედ ასეთი კოალიციის პირობებში მართავდა მერკელი ქვეყანას 16-დან 12 წლის განმავლობაში, თუმცა, ვარაუდობენ, რომ ამ კოალიციის ჩამოყალიბებას ბევრი უთანხმოება მოჰყვება და მისი შექმნა ნაკლებად პოპულარულია პოლიტიკურ ელიტაში ახლა. ამიტომ, პოლიტოლოგები გამორიცხავენ კოალიციური მთავრობის ამ ვარიანტს.

მერკელის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ცდილობს სწრაფად მიაღწიოს შეთანხმებას სხვა პარტიებთან, თუმცა, სოციალ-დემოკრატები მათ ოპოზიციაში გადასვლას მოუწოდებენ. ჩნდება კითხვა, თუ რამდენად სტაბილური იქნება მომავალი კოალიცია. კითხვა სრულიად ბუნებრივია, რადგან კოალიციის სტაბილურობა ყოველთვის საეჭვოა. ტრადიციულად, მწვანეები სოციალ-დემოკრატებს ემხრობიან, ხოლო თავისუფალი დემოკრატები ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს, თუმცა, არცერთი პარტია არ გამორიცხავს რომელიმე სხვა პარტიასთან თანამშრომლობას. ასეთ ვითარებაში, გაურკვევლობა მკაფიოდ გამოისახა ქვეყნის პოლიტიკურ ლანდშაფტზე, რას გამოც მერკელის მემკვიდრის გამოვლენას მომდევნო წლამდე პირი არ უჩანს. ამასობაში, ანგელა მერკელი განაგრძობს კანცლერის მოვალეობის შესრულებას, და ეს გასტანს, ვიდრე ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი ლაშეტი, ან სოციალ-დემოკრატების ლიდერი შოლცი ვერ შეძლებენ უმრავლესობის დაკომპლექტებას ბუნდესტაგში. ამრიგად, პირველად ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, იქმნება რეალობა, რომ გერმანიაში, მმართველი კოალიცია, შესაძლოა, სამი განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პარტიამ შექმნას.

რეჯეპ ტაიპ ერდოღანი და სტამბოლის არხი

სტამბოლის არხის მშენებლობა, თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური ინფრასტრუქტურული პროექტია. გეგმის მიხედვით, არხის მშენებლობა 2025 წელს უნდა დასრულდეს. გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ერდოღანის პრემიერ-მინისტრობის დროს იყო მიღებული, თუმცა, მიზეზთა გამო, პროექტი, რამდენიმე წელი თაროზე იყო შემოდებული. მხოლოდ 2016 წელს შეიცვალა მდგომარეობა, როცა ერდოღანმა არხის მშენებლობაზე ფიქრი კვლავ განაახლა. ყველამ იცის, რომ მას უყვარს დიდი და გრანდიოზული პროექტების რეალიზება. ბოლო წლებში, მისი თაოსნობით რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა თურქეთში. მაგალითად, სტამბოლის ახალი უზარმაზარი აეროპორტი და ტრანს-ანატოლიური გაზსადენი; დაიწყო ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა. თუმცა, სტამბოლის არხის მსგავსი მასშტაბურობით ვერცერთი ვერ დაიტრაბახებს.

რას წარმოადგენს სტამბოლის არხის პროექტი? მისი სიგრძე 45 კილომეტრი იქნება და სიღრმე 21 მეტრი. არხი შავ და მარმარილოს ზღვებს დააკავშირებს ერთმანეთს. ასევე, არხის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენდება მრავალმილიონიანი ურბანული დასახლება, ღრმაწყლოვანი პორტი, ლოგისტიკური ცენტრები და ხელოვნური კუნძულები. თურქეთის მთავრობა არხის გაყვანის საჭიროებას ეკონომიკური მიზნებით ხსნის. ამბობენ, არხი ბოსფორის სრუტეს განტვირთავსო, სადაც გემების სიმრავლის გამო, ხშირად ფერხდება ხოლმე მოძრაობა, და არც საზღვაო შემთხვევებია იშვიათი. ბოსფორის სრუტით ყოველწლიურად დაახლოებით 45 000 სამხედრო და სავაჭრო გემი სარგებლობს. შედარებისთვის, სუეცის არხში 17 ათასი და პანამის არხში მხოლოდ 12 ათასი გემი გაივლის. თურქეთის ტრანსპორტის მინისტრის თქმით, სტამბოლის არხი წელიწადში ერთ მილიარდ დოლარს მისცემს ქვეყანას წლიური შემოსავლის სახით.

სათქმელია ისიც, რომ არხის გაყვანის იდეას არაერთი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა სხვადასხვა მიზეზთა გამო. ერთ-ერთ მიზეზად ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება დასახელდა. გასაგებია, რომ ეკოკატასტროფებზე ლაპარაკი ყველგან ტრენდულია ჩვენს დროში, მაგრამ თურქეთმა, როგორც ჩანს, მაინც მოახერხა ასეთი განწყობისგან თავის დაღწევა. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც გარემოს დაცვით არიან დაკავებული, თურქეთის ხელისუფლებას აფრთხილებენ, რომ პროექტი შესამჩნევ ეკოლოგიურ ზიანს მოიტანს. ოფიციალური მონაცემებით, არხის გასაჭრელად დაახლოებით 140 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულის განადგურება მოხდება ისევე, როგორც ადგილობრივი პატარა ტბებისა და საირიგაციო სისტემების დაშრობა, რაც ქალაქ სტამბოლს ყოველწლიურად, დაახლოებით, 35 მილიონი კუბური მეტრის წყლის რესურსს დააკარგვინებს. სტამბოლის არხს უზარმაზარი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მისი მთავარი იდეა ის არის, რომ იგი არ დაექვემდებარება მონტროს კონვენციას, რომლის გამოც ნატოს გემები შავ ზღვაში დიდხანს და დიდი რაოდენობით ვერ შემოდიან. მონტროს კონვენციას შეგახსენებთ მოკლედ: ის ჯერ კიდევ 1936 წელს გაფორმდა თურქეთის მოთხოვნის საფუძველზე. კონვენცია თურქეთს, მანამდე ერთა ლიგის მიერ კონტროლირებად ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე სუვერენიტეტს ანიჭებდა და შავ ზღვაში სამოქალაქო და სამხედრო გემების შემოსვლას არეგულირებდა. კონვენციის მიხედვით, შეზღუ-

დულია არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემების გავლის უფლება, ანუ იმ სამხედრო ხომალდებს, რომელიც შავი ზღვის ქვეყნების რიცხვში არ შედიან, შავ ზღვაში გაჩერება მხოლოდ 21 დღით შეუძლიათ, მეტით არა! მონტროს კონვენციას დიდი სარგებლობა მოაქვს რუსეთისთვისაც. ამიტომ, რუსეთის მთავრობა ყურადღებით აკვირდება სტამბოლის არხის პროექტს და თურქეთის კონვენციიდან გამოსვლის პერსპექტივას.

ერთი სიტყვით, სტამბოლის არხის მშენებლობას ბევრი უარყოფითად უყურებს. აპრილში, მაგალითად, მაღალი რანგის ყოფილმა 104-მა ოფიცერმა ხელი მოაწერა საჯარო განცხადებას, რომელიც მთავრობის მიერ სტამბოლის არხის აშენების იდეას აკრიტიკებდა. მათი თვალთახედვით, ეს პროექტი თურქეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ყოფილი სამხედროების აზრით, არხის გაყვანით მონტროს კონვენცია დაირღვევა და შავიზღვისპირეთში სიტუაცია დაიძაბება. მათი თქმით, მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში, თურქეთი მხოლოდ დაზარალდება. ერდოღანი კი, ყველას ამშვიდებს, რომ თურქეთი არ აპირებს კონვენციიდან გასვლას, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ არხი თურქეთის მთავრობის ხელში ერთგვარ საკაჭრო ბერკეტად გადაიქცევა. თურქეთი მონტროს კონვენციის ცვლილებას ისე ეცდება, რომ რეგიონში მასზე დიდი კონტროლი არც რუსეთმა და არც დასავლეთმა არ მოიპოვოს.

ცვლილების შემთხვევაში, ის შეეცდება, რომ შავ ზღვაში დასავლეთის დაშვება მხოლოდ თურქეთის სურვილის მიხედვით იყოს შესაძლებელი. ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ სტამბოლის არხი, მცირე დოზით მაინც, მართლაც იქცეს რეგიონში რუსეთის გავლენის შემაჩერებელ ბერკეტად. გარდა ამისა, არხი ოსმალეთის იმპერიის აღორძინების სიმბოლოდაც შეიძლება იქცეს. ნავარაუდებია, რომ არხის ამუშავებით თურქეთი, დაახლოებით, 200 წლის შემდეგ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლს დაიბრუნებს. ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ სტამბოლის არხის პროექტს უნიკალური შიდა და საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ერდოღანის ხელისუფლებისთვის. ამიტომ, თურქეთის პრეზიდენტი მის, რაც შეიძლება, მალე დასრულებას შეეცდება.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲗᲐ ᲥᲐᲚᲗᲛᲭᲝᲛᲔᲚᲘ, ᲡᲐᲖᲘᲖᲦᲐᲠᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ...

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ 38-Ე ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲟᲐᲘᲠ ᲛᲔᲡᲘᲐᲡ ᲑᲝᲚᲡᲝᲜᲐᲠᲣ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲡ ᲐᲠ ᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ, ᲐᲠᲪ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲡᲝᲜᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲞᲝᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲐᲓ ᲘᲫᲪᲐ — ᲖᲝᲒᲡ ᲛᲐᲒᲠᲐᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ, ᲖᲝᲒᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲚᲐᲓ ᲡᲫᲣᲚᲡ. ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝᲡ ᲘᲡᲔ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ ᲨᲔᲐᲠᲫᲕᲔᲡ. ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲡᲢᲘᲐᲝ, ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ.

რადიკალურად განწყობილი კრიტიკოსები მას მუსოლინის და ჰიტლერს ადარებენ. პრეზიდენტად არჩევამდე დიდი ხნით ადრეც კი ამკობდა მას დასავლური პრესა მოურიდებელი ეპითეტებით: ქალთმოძულე, საზიზღარი, რელიგიური ნაციონალისტი, მემარჯვენე დემაგოგი და დიქტატურის მეხოტბე. ბოლსონარუ არ მალავს, რომ ანტი-ლგბტ მოძრაობის მომხრეა. პირდაპირ ამბობს: ჩვენ, ბრაზილიელებს, ჰომოსექსუალები არ გვიყვარს; მთელი მსოფლიოდან ნაძირალები ანუ მიგრანტები ჩამობრძანდნენ ბრაზილიაში, ვითომ, საკუთარი პრობლემები გვაკლდაო. თავად, ბოლსონარუს წინაპრები ბრაზილიაში საცხოვრებლად ევროპიდან მე-19 საუკუნეში გადავიდნენ. მას იტალიური ფესვები და მამის მხრიდან გერმანელი წინაპრები ჰყავს. ალბათ, ამის გამოც ადარებენ მას იტალიელ და გერმანელ დიქტატორებს. განსაკუთრებული პოპულარობა 1986 წელს მოიპოვა. მაშინ, სამხედრო ხუნტა, რომელიც ბრაზილიას ოც წელზე მეტხანს მართავდა, ერთი წლის დამხობილი იყო. ოფიცერმა ბოლსონარუმ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში, არმიაში დაბალი ხელფასები გააპროტესტა და განაცხადა, რომ ხელმძღვანელობა ადამიანებს ჯარიდან ბიუჯეტის შემცირების გამო აგდებს, და არა დარღვევებისთვისო.

ამ ინტერვიუსთვის ბოლსონარუმ 15 დღე სამხედრო საკანში გაატარა, მაგრამ მას აქტიურად დაუჭირეს მხარი სხვა ოფიცრებმა და ოფიცერთა ცოლებმა, რომლებმაც მისი გათავისუფლების მოთხოვნით უამრავ მიმართვას მოაწერეს ხელი. 1988 წელს, არმიიდან წასვლის შემდეგ, ის რიო-დე-ჟანეიროს ქალაქის საბჭოში აირჩიეს; ორ წელიწადში კი, ბრაზილიის კონგრესის ქვედა პალატაში, სადაც მან 27 წელი იმუშავა. 2018 წელს მემარჯვენე პარტიებმა ბოლსონარუ პრეზიდენტობის საერთო კანდიდატად წამოაყენეს. თავისი წინასაარჩევნო კამპანია ბოლსონარუმ წარმართა ლოზუნგით: **ბრაზილია ყველაზე მაღლაა, ღმერთი კი, ყველაზე მაღალი.** მისი თქმით, არ არსებობს საერთო სახელმწიფოს ცნება. ჩვენი სახელმწიფო ქრისტიანულია და უმცირესობები, თუ შეუძლიათ, უნდა გადასხვაფერდნენო.

მიუხედავად ასეთი განსხვავებული და ხმამაღალი ნათქვამისა, არჩევნებში მაინც 55 პროცენტით გაიმარჯვა, ანუ რაღაცაში იყო საქმე! სხვათაშორის, დასავლეთში კითხვები წარმოიშვა, თუ როგორ მოიგო არჩევნები ბოლსონარუმ და ვინ არის მისი ამომრჩეველი.

მისი ამომრჩეველის უმრავლესობა ახალგაზრდა თაობაა. ბრაზილიაში, უკვე კარგა ხანია, უმუშევრობა და კრიმინალია მიჩნეული ყველაზე მწვავე პრობლემებად. ჰოდა, ბოლსონარუმ პირობა დადო, რომ ამ პრობლემებს უეჭველად მოუვლიდა. ზუსტად ამიტომ მისცა ბრაზილიელმა ახალგაზრდობამ ხმა არაპოლიტკორექტულ, ხისტ, მკაცრ და პირდაპირ ბოლსონარუს. იგი სამჯერ იყო ქორწინებაში. 2007 წლიდან დღემდე, მისი მეუღლეა მიშელი დე პაულა, რომელიც ბრაზილიის პარლამენტში გაიცნო. მაშინ მიშელი დეპუტატთა პალატის საპარლამენტო მდივანი იყო. ბოლსონარუ მრავალშვილიანი მამაა. პირველი ცოლიდან სამი ვაჟი ჰყავს, მეორედან — ერთი, და ბოლო ქორწინებიდან გოგონა, სახელად, ლაურა. ბიჭებიც მამასავით პოლიტიკოსები არიან. ედუარდუ ბრაზილიის დეპუტატთა პალატის წევრია, ფლავიუ სენატორი და კარლუს რიო-დეჟანეიროს შტატის პარლამენტის წევრი. (დაუპყრია ოჯახს ქვეყნის პოლიტიკა და ეგ არი!) ბოლსონარუმ საარჩევნო დაპირებები შეასრულა, კერძოდ, გააძლიერა პოლიცია, შესამჩნევად აღკვეთა მკვლელობები და ნარკობანდების თარეში, შეამცირა უმუშევრობა, თუმცა, არა იმდენად, როგორც იმთავითვე გეგმავდა. ბოლსონარუმ მიგრანტების კანონიც გაამკაცრა. 2019 წელს ბრაზილია მიგრაციის გლობალური შეთანხმებიდან გამოვიდა. საგარეო პოლიტიკაში ბოლსონარუმ მკვეთრი პროამერიკული მხარე დაიჭირა. 2019 წელს ბრაზილიისა და ამერიკის მეთაურებმა სტრატეგიულ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. იქიდან მოყოლებული, ბრაზილია ამერიკის მთავარი მოკავშირეა ნატოს არაწევრ პარტნიორებს შორის.

ეს სტატუსი ნიშნავს ურთიერთობის უფრო მაღალ დონეზე აყვანას, კერძოდ, თავდაცვის ინიციატივებში ერთობლივ მონაწილეობას, საერთო სამხედრო წვრთნებს, კონტრტერორისტულ ღონისძიებებს და კოსმოსურ პროექტებში ერთობლივ მონაწილეობას. 2021 წლის დასაწყისში ბოლსონარუ და მისი მინისტრთა კაბინეტი დიდ სკანდალში გაეხვა, რამაც პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. მისმა ადმინისტრაციამ კარგად ვერ გაართვა თავი პანდემიას. დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა კონტროლიდან გავიდა. მთავრობა კი დუმდა, რამაც მოსახლეობის უმრავლესობა შეაშფოთა და გაანაწყენა. გარდა ამისა, ბოლსონარუს სახელმწიფოს თითქმის ყველა შტოსთან დაეძაბა ურთიერთობა: უმაღლესი სასამართლო იმპიჩმენტით ემუქრება და პარლამენტი მისი კრიტიკით ვერ ძღება; არც მასმედია წყალობს; დაეძაბა ურთიერთობა ჯართან, რადგან ბრაზილიის მთავარი გენერლები გაუშვა პენსიაზე. ბოლსონარუს ოდნავი უკანდახევა მოუწია. მან თითქმის მთლიანად შეცვალა მინისტრთა კაბინეტი და ზოგი გენერალი სამხედრო სამსახურში აღადგინა. 7 სექტემბერს ჟაირ ბოლსონარუს მხარდამჭერებმა ბრაზილიის დიდ ქალაქებში დემონსტრაციები გამართეს. დედაქალაქში დემონსტრანტებს თავად ბოლსონარუ მიუძღოდა. თავის გამოსვლაში, მან კონგრესი და უზენაესი სასამართლო დაადანაშაულა მისი რეფორმების დაბლოკვაში, და განაცხადა, რომ ულტიმატუმის წინაშე დადგებიან ის მოსამართლეები, ვინც მისი მთავრობის წინააღმდეგ არაკონსტიტუციურ გადაწყვეტილებებს იღებს. კონგრესმენები და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები შიშობდნენ, რომ მომიტინგეები შენობის შეტევაზე გადავიდოდნენ, თუმცა, ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. ბოლსონარუ საჯაროდ უარყოფს კორონავირუსის საფრთხეს.

მიუხედავად იმისა, რომ თავადაც გადაიტანა ვირუსი, ის მაინც დაჟინებით ამბობს უარს ვაქცინაციაზე. ერთი კვირის წინ ბოლსონარუ ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა. ნიუ-იორკის მერმა ბილ დე ბლაზიომ ბოლსონარუს აცრის გაკეთება სთხოვა. მან კი კვლავ ცივი უარი განაცხადა. აუცრელობის გამო ბოლსონარუ და მისი თანმხლები პირები ნიუ-იორკის რესტორნებში არ შეუშვეს. ამიტომ, ქვეყნის მეთაურს ქუჩაში მოუწია ჭამა. რა ვიცი, ალბათ, არც ამაზე დაწყვეტია გული დიდად. სულ ეს იყო ამჯერად. დიდი მადლობა... რომ გაგულისყურებთ ჩვენი საერთაშორისო პანორამა.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ Ბ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ

ᲔᲠᲓᲝᲦᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲔᲜ

ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ინფორმაციით, თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან კავკასიის საკითხის განხილვას გეგმავს. აღნიშნულის შესახებ მედიასთან საუბრისას თურქეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა იბრაჰიმ ქალინმა განაცხადა. მისი თქმით, თურქეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა 30-31 ოქტომბერს რომში დაგეგმილ „G-20“-ის სამიტის ფარგლებში გაიმართება.

ქალინის განცხადებით, ლიდერები განიხილავენ დღის წესრიგის მთავარ საკითხებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და სავაჭრო სფეროებში, ასევე თავდაცვის ინდუსტრიაში, უსაფრთხოების სფეროებში და ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით. გარდა ამისა, მისი თქმით, პრეზიდენტებს შორის იგეგმება ავღანეთის, სირიის, ერაყის, კავკასიის რეგიონისა და ყარაბაღის, ასევე ლიბიის, ხმელთაშუა ზღვის და სხვა გლობალური საკითხების განხილვა. იბრაჰიმ ქალინმა აშშ-ის მიერ თურქეთისთვის „F-35“-ის ტიპის თვითმფრინავების უარის თქმის შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ პროგრამიდან თურქეთის ამოგდება უსამართლო იყო და იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკებები კვლავ განახლდება.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲣᲠᲘᲚᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ პრემიერ-მინისტრმა, ფუმიო კიშიდამ განაცხადა, რომ იაპონიის სუვერენიტეტი სამხრეთ კურილის კუნძულებზე ვრცელდება.

„ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი ჩრდილოეთ ტერიტორიებზე ვრცელდება. ეს საკითხი უნდა გადავწყვიტოთ და მომდევნო თაობებს არ უნდა დავუტოვოთ. იაპონიის მთავრობა განწყობილია, რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადოს და ამ კუნძულების ტერიტორიული კუთვნილების საკითხი გადაწყვიტოს“, — აღნიშნა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

8 ოქტომბერს, იაპონიის ახალმა პრემიერ-მინისტრმა, ფუმიო კიშიდამ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ტერიტორიული დავის გადაწყვეტის გარეშე, რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება ვერ გაფორმდება.

ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ — ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ!..

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ **კორეის ლიდერმა, კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ ქვეყნის შეიარაღების განვითარება აუცილებელია აშშ-ის მტრული პოლიტიკის ფონზე.**

კიმ ჩენ ინის თქმით, ფხენიანი შეიარაღების განვითარებას არა ომის დაწყების, არამედ თავდაცვის გაძლიერების მიზნით ახორციელებს.

„ჩვენ ომს არავისთან განვიხილავთ. საუბარია იმაზე, რომ თავიდან ავიცილოთ ომი და ფაქტობრივად, ომის შემაკავებელი ფაქტორები გავზარდოთ ეროვნული სუვერენიტეტის დასაცავად. ჩრდილოეთ კორეის მთავარი მტერი თავად ომია“, — აღნიშნა ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა. კიმ ჩენ ინმა ასევე აღნიშნა, რომ აშშ-ის განცხადება, რომ ის ჩრდილოეთ კორეის მიმართ მტრულად განწყობილი არ არის, რთულად დასაჯერებელია.

„სამხრეთ კორეის შეუზღუდავი და სახიფათო მცდელობა, გააძლიეროს თავისი ჯარი, კორეის ნახევარკუნძულზე სამხედრო ბალანსს ანადგურებს და სამხედრო არასტაბილურობასა და საფრთხეს ზრდის“, — განაცხადა ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა.



ქართველი თავადის ამერიკული იმპერია

ახლაც კარგად მახსოვს დიდი ხნისწინანდელი ჩემი გაკვირვება, როცა მეგობრის მორთმეულ დეზოდორანტისა და საპნის ერთობ დახვეწილ შეფუთვაზე ამოვიკითხე „Prince Machabelli“, რაც ქართულად „თავად მაჩაბელს“ ნიშნავს. რამდენიმე ათეული წლის წინათ ამ ფირმის არათუ ნაწარმი არ მენახა, მის შესახებ არც მსმენოდა და მხოლოდ წლების შემდეგ გავიგე, რომ ამ ამერიკული კომპანიის დამფუძნებელი და პირველი მეპატრონე „ბატონი თავადი ჯორჯ მაჩაბელი“ ყოფილა, პირველი მოქალაქე-პრინცი ქვეყნის ისტორიაში, რომელიც 1930-იან წლებში „ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ასოციაციის“ პირველი პრეზიდენტი გახდა. სხვათა შორის, ამ ორგანიზაციაში დღესდღეობითაც იქ მცხოვრები მრავალი ჩვენი თანამემამულეა გაერთიანებული.

ამერიკაში დახვეწილი პარფიუმერიის მრეწველობის ერთ-ერთი პიონერი, თავადი გიორგი საქართველოში დიდად განთქმული მაჩაბლების ოჯახში დაიბადა. მამამისი მიხეილი, ცნობილი ვექილი, სამაჩაბლოს მამულთა მმართველობის კომიტეტს ხელმძღვანელობდა, იმდროინდელ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან და მწერლებთან, მათ შორის ილია ჭავჭავაძესთან მეგობრობდა. ბიძა ივანე კი — ცნობილი მწერალი, დღესაც დიდი უილიამ შექსპირის ერთ-ერთ საუკეთესო მთარგმნელად ითვლება.

თავადმა გიორგი მაჩაბელმა ჩინებული განათლება მიიღო — ტფილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სამთო საქმე (მარკშრეიდერობა) შეისწავლა ბერლინის სამეფო უნივერსიტეტში, რომელიც დღესდღეობით ვილჰელმ ჰუმბოლდტის სახელს ატარებს. სტუდენტობაში იგი პოლიტიკით დაინტერესდა, რამაც დიდად გაუთქვა სახელი: სწორედ იმხანად შექმნა ბერლინში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, მისი თაოსნობით პირველი მსოფლიო ომის დროს, თურქეთში მყოფ სამხედრო ტყვეთაგან იქმნება „ქართული ლეგიონი“, წყალქვეშა ნავებით თურქეთიდან საქართველოში რამდენჯერმე ჩამოაქვს იარაღი, მოლაპარაკებებს აწარმოებს სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებთან საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

1918 წელს კი, თავადი მაჩაბელი დიპლომატიური მისიის შემადგენლობაში ბერლინს მიემგზავრება გერმანიის მთავრობასთან შეთანხმების დასადებად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების დასაჩქარებლად. იქ იგი აქტიურად მონაწილეობს დაზვერვის შერეული გერმანულ-ქართული და საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოყენების საზოგადოების შექმნაში. გარდა ამისა, დიდად იღვწის გერმანიის ბანკების ერთი ჯგუფისგან საქართველოს მთავრობისთვის 54 მილიონი მარკის ოდენობის სესხის გაცემასთან დაკავშირებით. ამასთან, ცნობილია, რომ გერმანიის კაიზერ ვილჰელმს საქართველოში მონარქიის აღდგენა სურდა, თუმცა ფრონტზე წარუმატებლობისა და რუსეთში რევოლუციის მიზეზით პოლიტიკური ხელშეკრულება ვერ შედგა.

ტფილისში დაბრუნების შემდეგ თავადი გიორგი მაჩაბელი იტალიაში საქართველოს სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა, სადაც 1921 წლამდე იმსახურა, ჩვენში რუსეთის შემოჭრის შემდეგ კი მეუღლესთან ერთად ემიგრაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა, სადაც ნიუ-იორკში დაბანაკდა და ანტიკვარიატით ვაჭრობა დაიწყო.

მანამდე კი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ევროპაში მოგზაურობის დროს, იგი ცხოვრების პირველ და უკანასკნელ სიყვარულს, თეატრისა და მუნჯი კინოს ვარსკვლავს, იტალიელ მსახიობს ელეონორა ერნა სესილია გილის შეხვდა, რომელიც მასზე ხუთი წლით უფროსი, თან გათხოვილი იყო, მაგრამ, მიუხედავად იმისა, ისინი მაინც შეუღლდნენ. ახლობლები მას ნორინას ეძახდნენ..

1924 წელს კი, არომატული ხსნარებით თავისი ბერლინური გატაცება რომ წამოაგონდა, თავადმა გიორგიმ საგანგებოდ მეუღლისთვის სუნამო შექმნა, რომელსაც ნორინას ვარსკვლავური სპექტაკლის სახელწოდება — „სასწაული“ უწოდა.

თავდაპირველად თავის პარფიუმერულ ფანტაზიებს მოქალაქე-პრინცი მხოლოდ მეუღლეს უძღვნიდა, მაგრამ 1926 წელს, ქორწინების ათი წლისთავზე მან საპარფიუმერიო კომპანია „Prince Machabelli“ დააარსა., რომელიც მედისონ-ავენიუზე ანტიკვარული მაღაზიის სარდაფში განთავსდა, სადაც ქართული ემიგრაციის წარჩინებული ოჯახების წევრები იყვნენ დასაქმებულნი. პროდუქციაც დამკვეთებთან მათ დაჰქონდათ, რაც ამერიკელთათვის განსაკუთრებულად მიმზიდველი იყო, თანაც ნაწარმი გასაოცრად ნატიფი გახლდათ...

თავადის გერბის ფორმის მქონე სუნამოს ფლაკონების დიზაინი ნორინამ დაამუშავა, საცობს მეფის კვერთხის ჯვრის ფორმა ჰქონდა, ჩამოსხმით კი მინის წარმოების სპეციალისტმა, პირველმა ქართველმა მილიონერმა ჯორჯ კობიმ (გიორგი კობახიძემ) ჩამოასხა. პირველი სამი სუნამო გიორგიმ მეუღლეს უძღვნა: „პრინცესა ნორინა“, „საქართველოს დედოფალი“ და „ავე მარია“. თანდათანობით მან ფლაკონების დიზაინს ხასხასა ფერები შემატა, დაიწყო მოოქროვილი ფერადი მინის გამოყენება. თანაც მეტად გონივრულ მარკეტინგულ სვლებსაც იყენებს: მაგალითად, 1930-იან წლებში ჟურნალ „ნიუ-იორკში“ ქვეყნდება რეკლამა, რომელიც იტყობინება, რომ „პრინცი მაჩაბელი მკაცრად აკონტროლებს იმ ადგილებს, სადაც მისი სუნამოები იყიდება და უარს აცხადებს რამდენიმე მაღაზიისთვის თავისი პროდუქციის მიწოდებაზე, რაც იქაურ სოციალურ სტანდარტებს არ შეესაბამება“.

გარდა ამისა, პრესაში ქვეყნდება მასალები იმის თაობაზე, რომ ახალი არომატების შექმნა მისი სამშობლოს კულტურის ნაწილია, ხოლო ყველა ქართულ კეთილშობილ ოჯახს საგანგებოდ მისთვის შექმნილი ეთერზეთები ჰქონდა. კიდევ იყო ეგრეთ წოდებული „ირიბი რეკლამა“: არც კომპანიის „Prince Machabelli“, არც სუნამოს სახელწოდებები გამოსაჩენ ადგილებზე არ იწერებოდა, მხოლოდ ფლაკონის ძირზე იყო ამოტვიფრული, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მომხმარებელი მხოლოდ გვირგვინის დანახვით უნდა მიმხვდარიყო, თუ რომელი ფირმის ნაწარმთან აქვს საქმე.

1920-30-იან წლებში კომპანია ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მნიშვნელოვანი კორპორაციების ხუთეულში შედის, ამდენად, დიდი დეპრესიის მრისხანე შემოტევას საკმაოდ იოლად უმკლავდება.

1932 წელს გიორგი მაჩაბელმა ამერიკის მოქალაქეობა მიიღო, 1933 წელს კი ცოლს გასცილდა — ამის მიზეზი ნორინას ინდოელი გურუ მესერ ბაბათი და მისი სწავლებით გატაცება გახდა. 1935 წელს კი, მოულოდნელად ფილტვების ანთება ემართება და ამ სენის მსხვერპლი ხდება. იგი ნიუ-იორკში, როდ-აილენდის სასაფლაოზე დაკრძალეს, მისი კომპანია კი ყოფილმა ცოლმა ნორინამ 250 ათას დოლარად გაყიდა და ეს ფული სამხრეთ კაროლინაში „მეხერის სასულიერო ცენტრის“ შექმნას მოახმარა, რომელიც ნამდვილ სამოთხეში, 200 ჰექტარ ფიჭვნარშია განთავსებული, ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კურორტზე მირთლ-ბითში, ატლანტიკის სანაპიროზე.

„Prince Machabelli“ — ბრენდი კი მას შემდეგ რამდენჯერმე გაიყიდა, დღესდღეობით მისი მფლობელია „Parfumes de Coeir“ („გულის სუნამო“), რომელსაც სათავეში უდგას მარინა დე ბურბონი, ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე საფრანგეთის მმართველი სამეფო დინასტიის პირდაპირი შთამომავლის ცოლი.



მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ
ჟურნალიდან — „რუსკი კლუბ“

ცდილობდა ბირთვული წყალქვეშა ნავების მონაცემების გაყიდვას

შეერთებულ შტატებში დააკავეს სამხედრო ინჟინერი და მისი ცოლი, რომლებიც საზღვარგარეთ ამერიკული ბირთვული წყალქვეშა ნავების შესახებ საიდუმლო მონაცემების გაყიდვას ცდილობდნენ.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ერთი წლის განმავლობაში ჯონათან და დიანა თოებეები საიდუმლო მასალებს აწვდიდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტს, რომელიც თავს უცხო ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლად ასაღებდა. ოჯახურ წყვილს ბრალი დანაშაულებრივ შეთქმულებასა და ბირთვული ენერგიის შესახებ კანონის სავარაუდო დანაშაულისთვის წაუყენეს.

ჯონათან თოებე მუშაობდა ბირთვულ ინჟინრად აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში ბირთვული დანადგარების შემუშავების პროგრამაში და ჰქონდა წვდომა სახელმწიფო საიდუმლოს შემცველ მონაცემებზე, მათ შორის ელემენტების დიზაინზე, რეაქტორების მუშაობის პარამეტრებსა და მახასიათებლებზე, რომელიც ბირთვულ წყალქვეშა ნავებზე გამოიყენება.

გამოძიების თანახმად, 2020 წლის 1 აპრილს თოებემ ფოსტით უცხო ქვეყნის მთავრობას გაუგზავნა საიდუმლო მასალების ნაწილი და შესთავაზა დანარჩენი მონაცემების გაგზავნაც. ეს წერილი ხელში ჩაიგდო გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, რის შემდეგაც ინჟინრისა და მისი ცოლის მიმართ დაიწყო თვალთვალი. 2021 წლის ივნისში, ოჯახური წყვილი გაემგზავრა დასავლეთ ვირჯინიაში, სადაც კაფეში აპირებდა საიდუმლო მონაცემების დატოვებას. ჯონათან თოებემ ცოლის დახმარებით სენდვიჩში მოათავსა SD-ბარათი საიდუმლო მასალებით. 2021 წლის 28 აგვისტოს წყვილმა ჩაატარა მსგავსი ოპერაცია, მაგრამ ამ ჯერზე მინაცემების მატარებელი მოათავსა საღეჭი რეზინის შეფუთვაში.



2021 წლის 9 ოქტომბერს სავარაუდო დამნაშავეები დაიკავეს. თუ რომელი ქვეყნისთვის აპირებდა წყვილი ამერიკული ბირთვული წყალქვეშა ნავების რეაქტორების გეგმის გადაცემას, იუსტიციის დეპარტამენტის ინფორმაციაში საუბარი არ არის.

ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ...

„ᲔᲰᲐ, ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲜᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲐᲜᲝ! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ და ერთ რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ, ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით“.

ამ ჟრუანტელის მომგვრელმა, სულისგამყინავმა შეძახილმა ერთ მუშტად, ერთსულ და ერთხორცად შეკრა სრულიად საქართველო და მოაპოვებინა „ძლევაი საკვირველი“ მართლაც რომ ეშმაკის ურიცხვ მიმდევრებზე, რომლებიც „შეიმტკიცნეს სიმრავლით ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლით აღივსო ქუეყანა“.

ამ შეძახილმა ფეერიული მისტერია დაატრიალა ზუსტად 900 წლის წინ დიდგორის იწროებში და მისმა ექომ დღევანდლამდე მოაღწია ისე, თითქოს ეს სასწაული გუშინ ან გუშინწინ დატრიალებულიყოს, მოაღწია როგორც გაფრთხილებამ, როგორც ქართული სულის, ქართული გენის გამობრწყინებამ საუკუნეების უღრანებში...

ქართული მწერლობა რაც არ უნდა შეჭირვებული იყოს, არადა მართლაც უსაშველოდ შეჭირვებულია, გულხელდაკრეფილი ვერ შეხვდებოდა ამ საკრალურ თარიღს. ამიტომაც საქართველოს მწერალთა კავშირმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა პატრიოტული ლექსების კონკურსი „ძლევაი საკვირველი“ და გამოეცა ამ მოვლენისადმი მიძღვნილი პოეტური კრებული.

კონკურსის ჟიურიმ 12 აგვისტოსთვის გამოაცხადა კონკურსის შედეგები და კრებულის გამოცემაც მოასწრო (კრებულს ეწოდა „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“ — გამოჩენილი ქართველი პოეტის იოსებ ნონეშვილის ცნობილი ლექსის სახელი.). თუმცა კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. საქართველოში მომძლავრებული კორონავირუსის გამო კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება და პოეტური კრებულის წარდგინება გადაიდო და მხოლოდ 4 ოქტომბერს მოხერხდა მისი ჩატარება. ოღონდ ამ შემთხვევაშიც კოვიდრეგულაციების გამო ეს ღონისძიებაც ორ ნაწილად დაიყო. ჯერ პოეტური კრებულის წარდგინება ჩატარდა, ოდნავ მოგვიანებით კი კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვეს.

პოეტური კრებულის წარდგინებას უძღვებოდნენ თემურ ჩალაბაშვილი და ზაალ ბოტკოველი, რომლებმაც ისაუბრეს იმ დიდებულ წინაპარზე, რომლის სიბრძნემ, სიდინჯემ, წინდახედულობამ, სტრატეგიული აზროვნების ფეიერვერკულმა უნარმა გადაარჩინა საქართველო სრულ იავარქმნას და მაგალითი მისცა შთამომავლობას, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი წინამძღოლი საკუთარი ერისა, ისაუბრეს პოეტური კრებულის შესახებ, იმ სირთულეებზე, რომლებიც მის გამოცემას ხელს უშლიდა...

შემდეგ კი მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიდნენ ლინა ბარათაშვილი და ეთერ ზარიძე, მზია ხეთაგური და მიმოზა ცანავა, ბადრი ქუთათელაძე და ნათელა გოხელაშვილი, რუსუდან ჭანტურიშვილი და მზია გუმბერიძე, ნინო უძილაური და მაია ბათიაშვილი, მანანა ჩაჩანიძე და მამუკა დემეტრაშვილი, ჯაბა ქვლივიძე, ისინი კითხულობდნენ ლექსებს, ერთდროულად სევდით ნაღველით, მწუხარებით და იმედით რომ იყო დამუხტული.

როგორც მოგახსენეთ, ცოტა ხნის შემდეგ კი კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება შედგა, რომელიც მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მაყვალა გონაშვილს მიჰყავდა. მან დამსწრეთ წარუდგინა სტუმრები — პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე, ყველასთვის საყვარელი მომღერალი ირმა სოხაძე და პოპულარული თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძე, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თანამედროვე ქართული კულტურა. ქალბატონმა მაყვალამ ქალბატონები **ელისო ბოლქვაძე** და **ირმა სოხაძე** თამარიონის ენდალმით დააჯილდოვა, ბატონი **ნიკა წულუკიძე** კი — ქართული კულტურის რაინდის წოდებით.

კონკურსის ქმედითი მხარდაჭერისთვის ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილეს **კახა კობერიძეს,** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს **ზურაბ ხონელიძეს,** სიღნაღის მერს გოგი გოგინაშვილს და სიღნაღის მერის მოადგილეს **თემურ ბალარჯიშვილს** მადლიერების დიპლომები გადაეცათ.

შემდეგ კი დაჯილდოების პროცედურაც დაიწყო. კონკურსის გრან-პრი გადაეცა **ვანო ჩხიკვაძეს;** კონკურსში გამარჯვებული წლის რჩეული იუბილარების წოდება მიენიჭათ **ემზარ კვიტაიშვილს, თემურ ჩალაბაშვილს, ფარნა რაინას, მზია ხეთაგურს.** დავით აღმაშენებლის სახელობის ოქროს მედლები გადაეცათ **ქეთი დოლიძეს, ჯემალ ინჯიას, მაია მიქაიას, ედუარდ უგულავას, ნიკა ქვრივიშვილს, თამარ შაიშმელაშვილს, მარინე ცხვედიაშვილს;** დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ **გიორგი ბალახაშვილი, ნომადი ბართაია, ბადრი სულაძე, გოჩა ხარანაული.**

ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიებით დაჯილდოვდნენ **თამაზ ხმალაძე, მიხო მორჩილაძე, ბაღათერ არაბული, ირმა გურიელი;** ანა კალანდაძის პრემიით — **ნონა გიორგაძე;** ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება მიენიჭათ **გიგი ხორნაულს, თენგიზ ჩხაიძეს, მოსე ბოროდას.**

საღამოზე მოწვეული იყო აფხაზეთიდან დევნილი მწერალი **ნაირა მარშანია,** რომელსაც დიპლომი და ფასიანი საჩუქარი გადაეცა.

კონკურსში გამარჯვებულ და პრემირებულ მწერლებს მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა, თანათავმჯდომარეები რევაზ მიშველაძე, ბაღათერ არაბული, სოსო სიგუა, თემურ ჩალაბაშვილი, მწერლები ია სულაბერიძე, ერეკლე საღლიანი, ზაალ ბოტკოველი...

დასრულდა „ძლევაი საკვირველის“ კონკურსი, მაგრამ არასოდეს დასრულდება ქართველთა უპირველესი მეფის მიერ დანთებული კოცონი ჩვენს სულებში, რომელიც ყველაზე მძიმე განსაცდელსაც დაგვაძლევინებს და ჭეშმარიტად თავისუფალ, ძლიერ, დამოუკიდებელ საქართველომდე მიგვიყვანს.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲒᲘᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ - ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ“

17-24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ თბილისში უკვე მეექვსედ თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი (TIFL) გაიმართება. ფესტივალი 2015 წლიდან ყოველწლიურად ტარდება. გამონაკლისი იყო მხოლოდ 2020 წელი, როცა პანდემიასთან დაკავშირებული ვითარების გამო, რამდენიმე ონლაინ დისკუსია გაიმართა. თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის ორგანიზატორი და მასპინძელი მწერალთა სახლია. წლევანდელი ფესტივალი UNESCO-ს პროექტის „თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ ფარგლებში გაიმართება.

17 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი ოფიციალურად გაიხსნება. წლევანდელი პროგრამის მთავარი თემაა ქალაქი, როგორც სიმბოლო, რომელიც ამერიკელ პოეტსა და აქტივისტ ლორენს ფერლინგეტის უკავშირდება. მის შემოქმედებას ფესტივალის პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა. TIFL 2021-ის ლიტერატურული პროგრამა რამდენიმე ეტაპად იყოფა. ფესტივალის პირველი ნაწილი მოიცავს პოეზიის საღამოებს და დისკუსიებს ლიტერატურის როლის შესახებ სოციალურ და პოლიტიკურ აქტივიზმში. პროგრამის ამ ნაწილის მონაწილეები უმეტესად პოსტსაბჭოთა სივრცის ავტორები იქნებიან.

17-19 ოქტომბრის ღონისძიებების მონაწილე ავტორები არიან: ბელარუსი პოეტების წყვილი **იულია ტიმოფეევა** და **ალჰერდ ბახარიევიჩი** (ისინი ამჟამად გრაცის საერთაშორისო სარეზიდენციო პროგრამის რეზიდენტები არიან); **ალექსეი ცვეტკოვი** — რუსულენოვანი დისიდენტი პოეტი (ამჟამად ცხოვრობს ისრაელში); **ლიუბა იაკიმჩუკი** — ახალგაზრდა უკრაინელი პოეტი; **რასიმ გარაჯა** — აზერბაიჯანელი პოეტი, მთარგმნელი და გამომცემელი; **ვაჰე არსენი** — სომეხი პოეტი და მთარგმნელი; **ანასტასია ლევკოვა** — მწერალთა სახლის რეზიდენტი, „თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“პროექტთან ერთად ორგანიზებული გაცვლითი სარეზიდენციო პროგრამის მონაწილე. პროგრამის ამ ნაწილის ღონისძიებებია:

— პოეზიის საღამოები;

— პოეტური პერფორმანსები;

— ლიტერატურული დისკუსიები სხვადასხვა თემაზე: მწერლების ყოფა და შემოქმედება საომარ და ტოტალიტარულ რეჟიმებში; წინააღმდეგობა რუსული ოკუპაციის მიმართ ქართულ და უკრაინულ ლიტერატურულ სივრცეში.

ᲞᲝᲛᲞᲔᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘ ᲕᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲔᲑᲕᲔᲕᲐ



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ **მუზეუმის გუნდი, იტალიელ კოლეგებთან ერთად, ვანის შემდეგ, გამოფენას თბილისში ამზადებს. 13 ოქტომბრიდან, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში გამოფენაზე „სიცოცხლე და სიკვდილი — დიდებული პომპეი“ წარდგენილი იქნება მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა პომპეის არქეოლოგიური პარკიდან.**

არქეოლოგიური მასალა ძველი რომის დიდებული ქალაქის — ახ.წ. 79 წელს, ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად, ფერფლით დაფარული პომპეის მდიდრულ ცხოვრებასა და მის ტრაგიკულ დასასრულს ასახავს.

გამოფენაზე წარდგენილი იქნება კედლის მხატვრობის ნიმუშები, სახლის სხვადასხვა ნაწილში (ატრიუმი, ტრიკლინიუმი, პერისტილი, ლარარიუმი, ბაღი) აღმოჩენილი მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა და ოქრომჭედლობის გამორჩეული ნიმუშები. მუზეუმის ვიზიტორი გადაინაცვლებს სამყაროში, რომელიც აცოცხლებს ანტიკური ეპოქის იტალიის ერთი ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას ახ. წ. I საუკუნეში. ექსპოზიციაზე ასევე წარმოდგენილი იქნება ვულკანის ამოფრქვევის შედეგად დაღუპულთა თაბაშირის მოდელები. პომპეი, რომელსაც დაახლოებით სამი საუკუნეა არქეოლოგები იკვლევენ, ნათელ წარმოდგენას ქმნის რომის იმპერიის ქალაქების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. პომპეის აღმოჩენებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე ევროპული ესთეტიკის, დიზაინის, სამზარეულოს და სუფრის ტრადიციების ჩამოყალიბებაში.

პომპეის არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში პირველად ვანის განახლებულ მუზეუმში იყო წარმოდგენილი, სადაც დამთვალიერებელს უნიკალური შესაძლებლობა ჰქონდა, ანტიკური სამყაროს ისტორიას გასცნობოდა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ფუნქციის მქონე რვასაუკუნოვანი ქალაქების — პომპეისა და ვანის — დიდებული წარსულისა და ტრაგიკული დასასრულის ამსახველი ექსპონატების მაგალითზე.

◎ ოვალური ბურთი

ერთი ამოსუნთქვით

ზურაბ ამონაშვილის, პაატა მაისურაძისა და თორნიკე ბუბუტეიშვილის გაწვრთნილმა საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა ზედიზედ მესამედ(!) მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა ბურთების ფანტასტიკური შეფარდებით — 140:3.

ფინალში „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ წირვა პორტუგალიელებს გამოუყვანეს — 27:0, რომლებსაც 4 ლელო დაუდეს (არჩვაძე, ბაბუნაშვილი, ზაზაძე, ბოყოველი).

ვულოცავთ!

◎ ხალიჩაზე

„კლასიკოსთა“ მონაგარი

ხუთი მედლით დაბრუნდნენ სამშობლოში ქართველი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები, რომლებმაც ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზეს.

„ვერცხლი“ — ლერი აბულაძე (63 კგ);

„ბრინჯაო“ — ნუგზარ წურწუმია (55 კგ), რამაზ ზოიძე (67 კგ), ლაშა გობაძე (87 კგ) და იაკობ ქაჯაია (130 კგ).

აღსანიშნავია, რომ 87 კილოში უმაღლეს ტიტულს სერბეთის სახელით მორკინალი ყოფილი „ჯვაროსანი“ ფალავანი **ზურაბ დათუნაშვილი** დაეუფლა, რომელმაც მეოთხედფინალში სწორედ გობაძეს სძლია — 2:1.

მილოცვა ზურაბ დათუნაშვილს!

ბუნებრივია, გვახარებს ქართველი სპორტსმენების წარმატებები, რომლებიც საკუთარი სამშობლოს თუ უცხო ქვეყნის სახელითაა მოპოვებული. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გულდაწყვეტილები ვრჩებით, როცა წინგაუხედაობის, გაუგებრობის თუ პირადი ამბიციების შედეგად ვკარგავთ მეტი წარმატების მითვლის შესაძლებლობებს. სამწუხაროდ, ბევრია ამის მაგალითი და აი, სულ ახალიც — ზურაბ დათუნაშვილმა, რომელიც წლეულს ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი გახდა სერბეთის სახელით, ახლა ამ ქვეყანას მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. და ისიც უნდა გითხრათ, რომ ზურაბმა ამ გამარჯვებით ბეჭებზე გააკრა არა მხოლოდ უშუალო მეტოქე, არამედ ისინიც, ვინც არ გაუფრთხილდა მას და აიძულა სხვა ქვეყანაში გაეგრძელებინა სპორტული ტიტულების მოხვეჭა.

ზურაბ, ჩემო უმცროსო კოლეგავ, გილოცავ! გჯეროდეს, რომ სამშობლოს სიყვარული და უფლის მადლი მუდამ შენთან იქნება და ცხოვრებაში ბევრჯერ გაგამარჯვებინებს!

გურამ სალარაძე,
საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე; მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

◎ ფიცარნაგზე

„ოქროს“ ფინიში

საუდის არაბეთში გამართული 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი ქართული ჰიმნით დააგვირგვინა 81 კილოში მოასპარეზე ნათია გადელიამ (პირადი მწვრთნელები — თემურ ჯანჯღლავა და ბეჟან ჭიჭინავა), რომელმაც ორჭიდსა და აკვრაში ოქროს მედლები მოიხვეჭა, ხოლო ატაცში მეორე იყო.

ასევე საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ ქართული სამკაციანი დელეგაციის დანარჩენი ძალოსანი წევრებიც:

73 კგ: ნიკოლოზ ესართია (პირადი მწვრთნელი **ვოლდემარ ბაღათურია**) — „ვერცხლი“ ორჭიდსა და აკვრაში, „ბრინჯაო“ ატაცში; **96 კგ:** გურამ ვეკუა — 3 „ვერცხლი“.

ჩვენს გუნდს **ზურაბ ანთაური** თავკაცობდა.

◎ ტატამზე

უძლეველთა კვარტეტი

გიორგი სარდალაშვილისა (60 კგ) და გიორგი შერაზადიშვილის (81 კგ) ტრიუმფზე უკვე გაუწყეთ.

პარტნიორებს დიდებულად აუბეს მხარი **ილია სულამანიძემ** (100 კგ) და **საბა ინანეიშვილმა** (+100 კგ), რომლებიც იტალიის ქალაქ ოლბიაში დასრულებული ძიუდოისტთა ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ, ხოლო **ირაკლი დემეტრაშვილმა** მესამე ადგილი დაიკავა

ბუნებრივია, ჩვენებმა გუნდურ ჩათვლაშიც აჯობეს ყველას.

◎ კორტზე

მოგებით დაიწყო

გამარჯვებით დაიწყო ინდიან უელსის მასტერსზე გამოსვლა 29-ე ნომრად განთესილმა მსოფლიოს 36-ე ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა, რომელმაც ორ პარტიაში 25 წლის მასპინძელი, კლასიფიკაციის 194-ე ნომერი კრისტოფერ იუბენქსი დაამარცხა — 6:3, 6:4.

აღსანიშნავია, რომ ამავე მეტოქეს ნიკამ აქამდე ერთადერთი — 2019 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე გამართული ბრძოლაც მოუგო 4 სეტში. მორიგ წრეში ბასილაშვილი ესპანელ ალბერტ რამოს ვინოლასს შეხვდება.

◎ ბურთიც კლავს!

საკონტროლო გასროლა

დიახ, ბათუმში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ საქართველოს ფეხბურთელთა ვაინაკრები, რომელსაც, როგორც ყოველგვარი პატრიოტულისგან დაცლილს, ძნელია ეროვნული უწოდო, დაზაფრულ თანამემამულეებს, მეტადრე ზღვისპირა ქალაქის მკვიდრებს, „კანტროლკით“ გაუმასპინძლდა.

ამჯერად გაცვეთილი ფირფიტა, რომ გუნდს მისი მთელი რიგი ლიდერები აკლიანო, გამოუსადეგარია, რადგან სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს ერთმანეთის გვერდით გაჯგიმულიყვნენ კვარაცხელიაც, ჩაკვეტაძეც, ლობჟანიძეც, მიქაუტაძეც, ხოლო შესვენების შემდეგ „აჭარაბეთ არენაზე“ პარტნიორებს ოქრიაშვილიც შეუერთდა, წიტაიშვილი კი სანიოლმა ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

მართალია, კიტეიშვილისა და კაშიას სახით დანაკლისი ლიხსიქეთაც გვქონდა, მაგრამ ნატურალიზებული ზეკას თამადობით არც სტუმრები ჩამოსულან ოპტიმალური შემადგენლობით.

სამაგიეროდ, ბერძნებმა ფეხბურთი ითამაშეს, პატივი სცეს სამშობლოში დარჩენილ გულშემატკივრებს და დამსახურებულად გაიმარჯვეს — 2:0.

ჩვენ კი... ჩვენ განვაგრძობთ ერთი ადგილის ტკეპნას, უკვე 9 წელია მუნდიალის შესარჩევი მატჩი არ მოგვიგია და ქომაგებს დაპირებებით ვაბოლებთ. სირცხვილია, სირცხვილი!

* * *

ბედი არ გინდა — ამ სუსხიანი სტრიქონების შემდეგ 75 წლის იუბილე უნდა მივულოცოთ შესანიშნავ ხორვატ პიროვნებასა და მწვრთნელს **ივო შუშაკს,** რომელმაც საქართველოში სამწლიანი მოღვაწეობა გამორჩეული შედეგებით დააგვირგვინა, როგორც სანაკრებო — რუსეთთან 1:0 გამარჯვება 2003 წლის დაუვიწყარ 30 აპრილს, რამაც, პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად, ამ საუკუნეში ქომაგები ქუჩაში გამოიყვანა, — ისე საკლუბო დონეზე („დი:ნამოს“ მოაგებინა დსთ-ს და ყიფიანის თასები, აგრეთვე ეროვნული ჩემპიონატი).



* * *

კურიოზია, აბა რა — ვარსკვლავების საბუდარ რაჭას ეროვნულ ლიგაში გუნდი აღარ ჰყავს — ჯერ ონის „მამისონმა“ შეწყვიტა არსებობა, ხოლო ცოტა ხნის წინათ — ამბროლაურის „რაჭამ“.

და აი, რეგიონული ფედერაციის მიერ გავრცელებული „სამაღარიჩო“ ცნობა: ჰოლანდიელი პარტნიორების — რატერდამის „სპარტას“ წარმომადგენლების სტუმრობისას განიხილეს მხარეში კლუბის აღორძინების საკითხი და მოლაპარაკებებიც დაიწყო. აღსანიშნავია, რომ პროცესში ჩართულია ადგილობრივი ბიზნესმენი მამუკა რაზმაძეც.

◎ ტრადიცია

„ტიტებმაც“ იხარა

დუდუ დადიანის საიუბილეო — მე-20 მემორიალი პირველად მოიგო „ტიტებმა“, რომელმაც „ვერასთან“ პირველი მატჩის წაგების შემდეგ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო, მათ შორის ფინალური — თასის აწ უკვე ყოფილ მფლობელ „ქუთაისთან“ — 94:85.

აღსანიშნავია, რომ საკალათბურთო სეზონის პირველი ტურნირის საუკეთესო მოთამაშეც **ბესო ლეჟავას** გაწვრთნილი გუნდის ამერიკელი ლეგიონერი **ჯორდან რობერტსონი** გახდა.

* * *

ამასობაში კიდევ ერთხელ ივაჟკაცა ნბა-ს მოქმედი ჩემპიონის — „მილუოკის“ 22 წლის ქართველმა დებიუტანტმა სანდრო მამუკელაშვილმა, რომელმაც „ბრუკლინთან“ 115:119 წაგებულ წინასასეზონო საგამოფენო მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა — 20 ქულა, 11 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა.

აღსანიშნავია, რომ „ჯვაროსანმა“ თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო და დურანტის, ჰარდენის, ოლდრიჯისა და გრიფინის წინააღმდეგ ბრძოლაში პარკეტზე 30 წუთი გაატარა.

მშენებლობის სამინისტროს გაუქმება დიდი შეცდომა იყო!



ბათუმის ტრაგედიის გაკვეთილი

თბილისსა და რეგიონებში მდებარე საბჭოთა კავშირის დროინდელ საცხოვრებელ კორპუსებს ვადა მასობრივად გაუვიდა, ზოგს ორმაგადაც კი, რაც მათ უსაფრთხოებას დიდი რისკის ქვეშ აყენებს.

თბილისსა და რეგიონებში მდებარე საბჭოთა პერიოდის დროინდელ შენობებს ექსპლუატაციის ვადა ამოწურული აქვთ

ყველაზე მეტი საფრთხე ამ მხრივ ე.წ. „ხრუშჩოვკებს“ უკავშირდება. თბილისის მასშტაბით, ასეთი დაახლოებით 520-მდე კორპუსია, რომელიც ეტაპობრივად უნდა ჩანაცვლდეს. ამის შესახებ „კომერსანტთან“ ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, არქიტექტურის დოქტორი მერაბ ბოლქვაძე საუბრობს.

„საბჭოთა პერიოდის მრავალი სხვადასხვა ტიპის სახლია, რომლებსაც ექსპლუატაციის ვადა გაუვიდა, მაგრამ „ხრუშჩოვკებთან“ დაკავშირებით საქმე ყველაზე რთულადაა. ეს არის ადრეული პერიოდის ასეულობით შენობა, რომელიც უნდა ჩანაცვლდეს. სულ 520-მდეა მათი რაოდენობა, რამდენიმე შენობა აშკარად ავარიული იყო, გაიყვანეს ხალხი და ააშენეს ახალი. რაც შეეხება სხვა საბჭოთა პროექტებს, რამდენიმე ათასია თბილისის მასშტაბით. ყველა მათგანს ყურადღება და დაკვირვება სჭირდება, ეტაპობრივად უნდა შეიცვალოს“, — ამბობს მერაბ ბოლქვაძე.

იგი, ამავე დროს, ბათუმში მომხდარ უბედურ შემთხვევას ეხმაურება და აცხადებს, რომ დაზიანება კონსტრუქციის რღვევას შეიძლება უკავშირდებოდეს ან გაზის აფეთქებას, რასაც საბოლოოდ ექსპერტიზა დაადგენს.

„პირველი შემთხვევაა საქართველოში, როცა ასეთი სრული დანგრევა მოხდა. ალბათ აფეთქება მოხდა ან კონსტრუქციის დაზიანება. ამიტომ, სანამ დაშენება გადაწყდება, წინასწარ მყარი ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს. მთელი მსოფლიო ცდილობს სეისმომდგრადობისა და უსაფრთხოების მიზნით, შენობების წონა შეამცირონ, მათ შორის, იაპონიაც. ნაკლებწონიანი შენობები სეისმომდგრადობის მხრივ უფრო ამტანები არიან. ყოველი დაშენება წონის ზრდაა. ბათუმის შემთხვევაში, ჩაშლილია მთლიანად მთელი სადარბაზო, მაგრამ ზუსტად რა მოხდა, მოკვლევა ჩატარდება და ექსპერტიზა გასცემს პასუხს“, — აცხადებს მერაბ ბოლქვაძე „კომერსანტთან“.

ურბანისტი **ლადო ვარდოსანიძე** ამბობს, რომ **აუცილებელია ჩატარდეს შენობების აუდიტი ქვეყნის მასშტაბით, რათა ყველა შენობას ჰქონდეს თავისი პასპორტი, როგორც ადრე ხდებოდა და დასკვნა გაკეთდეს თითოეულ სახლზე. „20 წელი მაქსიმალური ვადაა, რამდენ ხანსაც საბჭოთა პერიოდში აშენებული კორპუსები გაძლებენ. ზოგიც რაც შეიძლება მალე დასაშლელია. ამისთვის უნდა ჩატარდეს აუდიტი და საფუძვლიანი მოკვლევა. რატომღაც დაგვავიწყდა, რომ სამშენებლო კულტურა არ არის მხოლოდ მშენებლობა, არამედ მართვაა, რაშიც ძალიან ჩამოვრჩებით. საბჭოთა პერიოდიდან შეიძლება ბევრი რამ არ მოგვწონდეს, მაგრამ შენობების უსაფრთხოება მაშინ მაღალ დონეზე იდგა. მაშინდელი კორპუსების უმეტესობა, ძირითადად, გასული საუკუნის 60-იან წლებშია აშენებული. მშენებლობის პროცესი აქტიურად გრძელდებოდა 80-იან წლებამდე. თავდაპირველად ეს იყო მსხვილპანელოვანი შენობები, მერე — ბლოკური. ზოგიერთის ვარგისიანობის ვადა 30 წელი იყო, გააჩნია პროექტს, მაგრამ ზოგს ვადა ორმაგად გაუვიდა,** — ამბობს ვარდოსანიძე.

დაზარალებულ ოჯახებს ბინებს და კომპენსაციას გადასცემენ

ბათუმში, საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს აჭარის მთავრობა და ბათუმის მერია ბინებს გადასცემენ. ასევე, ბინების კეთილმოწყობის მიზნით ოჯახები შესაბამის კომპენსაციას მიიღებენ.

ამასთან, ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებისთვის აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 90 ათასი ლარი უკვე გამოიყო.

როგორც ურბანისტი განმარტავს, სახლის ტექნიკურ მდგომარეობას მხოლოდ პროექტი არ განსაზღვრავს. დიდი მნიშვნელობა აქვს მშენებლობის, მასალის ხარისხს, გეოლოგიურ პრობლემას და სხვა კომპონენტებს, რისი გათვალისწინებაც მშენებელს მოეთხოვება.

სპეციალისტების ნაწილი ამბობს იმასაც, რომ შენობების მდგრადობის მხრივ ქვეყანაში დიდი რისკებია. ეს ეხება არა მხოლოდ საბჭოურ პროექტებს, არამედ ახალ შენობებსაც, რომლის ხარისხი სერიოზულ ეჭვს იწვევს. მშენებელთა ლიგის თავმჯდომარის ანზორ საკანდელიძის განცხადებით, დროულად თუ არ მიიღებენ ზომებს, ბათუმის შემთხვევა არ იქნება უკანასკნელი. შეიძლება მსგავსი ფაქტი ნებისმიერ მომენტში გაჩნდეს სხვა რეგიონებშიც, მათ შორის დედაქალაქშიც.

„დღესდღეობით ძველი თუ ახალი შენობები ლაბორატორიულად არ შემოწმებულა. ამას წლების წინ მშენებლობის სამინისტრო აკეთებდა. მისი გაუქმება დიდი შეცდომა იყო. როდესაც მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის მმართველობაში მოვიდა, პირველი რაც გააკეთა, მშენებლობის სამინისტრო გააუქმა. იგივე მოხდა იმ პერიოდში უკრაინაშიც. თუმცა იქ ეყოთ ჭკუა და წელიწადნახევარში აღადგინეს. 17 წელი გავიდა და ჩვენ ამ საკითხს ვერ მივხედეთ. სამშენებლო კომპანიების მხრიდან უამრავი შემთხვევაა, რომ გადაიხადეს ფული და იყიდეს მშენებლობის ნებართვა, უსაფრთხოებაზე არავინ იზრუნა. ბათუმში დანგრეული შენობა დაახლოებით 50 წლისაა. ეტყობა, ისე მოხდა დაშენება, მერე კი საყრდენი კედლის დარღვევა, რომ არავინ შეამოწმა წინასწარ, ძველი შენობა იყო, ისედაც ძლივს ედგა სული და ვერ გაუძლო“, — ამბობს საკანდელიძე „კომერსანტთან“.

მარი ჩიტაია



დევნილი ოჯახებისთვის სოფლის ტიპის დასახლება აშენდა

მარნეულში, დევნილი ოჯახებისთვის სოფლის ტიპის დასახლება აშენდა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 31 სახლი იმ ოჯახებს გადაეცათ, რომლებიც წლების განმავლობაში ნგრევად შენობაში ცხოვრობდნენ, — ამის შესახებ ინფორმაციას დევნილთა, ეკონომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ავრცელებს.

ინოვაციური პროექტის განხორციელება გერმანიისა და საქართველოს მთავრობების წარმატებული თანამშრომლობის შედეგად გამოყოფილი 10 მილიონი ევროს ოდენობის გრანტის ფარგლებში გახდა შესაძლებელი. მნიშვნელოვანია, რომ ახალი სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე საბავშვო ბაღის მშენებლობაც იწყება.

პროექტი, დამატებით, დევნილი ოჯახების მიწის ნაკვეთებზე 200-ზე მეტი სახლის აშენებას, დევნილთა დასახლებებში 24 მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას, 8 ახალი საბავშვო ბაღის აშენებასა და 2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაციას ითვალისწინებს. მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე დასრულებულია.

რაჭის რეგიონში 1000 ტონამდე ყურძენი უკვე დაბინავებულია

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, რთველის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ქალაქ ამბროლაურში რთველის საკოორდინაციო შტაბი ფუნქციონირებს.

შტაბში, ამ ეტაპზე, 30-მდე კომპანიაა დარეგისტრირებული, რომლებიც რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში რთველში ერთვებიან. ყურძნის მიმღები პუნქტები 17 ლოკაციაზეა გახსნილი, რაც მოსავლის შეუფერხებელი დაბინავების შესაძლებლობას იძლევა.

„აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პანდემიით შექმნილი ვითარების გამო, მეღვინეობის განვითარებული ინდუსტრიის მქონე ქვეყნებში, გადამმუშავებელი საწარმოების მხრიდან ყურძენზე მოთხოვნა შემცირებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მევენახე ფერმერთა მხარდასაჭერად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ისევ როგორც კახეთის, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონშიც რთველის სუბსიდირების პროგრამა მოქმედებს.



რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში სუბსიდიას მიიღებს ყველა ის კომპანია, რომელიც შეიძენს და გადაამუშავებს ხვანჭკარის მიკროზონაში მოწეულ არანაკლებ 3 ტონა ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენს და 1 კგ ყურძენში მევენახეს არანაკლებ 7 ლარს გადაუხდის. სუბსიდიის თანხა შეადგენს 3 ლარს 1 კგ როგორც ალექსანდროულის, ისე მუჯურეთულის ჯიშის ყურძენზე.

ადგილწარმოშობის ღვინის „ხვანჭკარა“ ჯიშობრივი სიზუსტის დაცვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, რაჭის რეგიონის შესასვლელებში სპეციალური საკონტროლო პუნქტებია გახსნილი; მოწმდება რეგიონში შემოსული ყველა მანქანა, რათა არ მოხდეს ყურძნის სხვა მუნიციპალიტეტებიდან რაჭის რეგიონში შეტანა. ამავე მიზნით, ყურძნის მიმღებ ყველა პუნქტზე ამპელოგრაფები მონიტორინგს უწევენ ჩასაბარებელი ყურძენს. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში მოწეული ყურძნის ჩაბარება ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული მევენახეობის კადასტრის ამონაწერის საფუძველზე ხორციელდება. ამ ეტაპზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საკადასტრო ამონაწერი 1700-მდე მევენახეს აქვს აღებული“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

ბიზნესმენებს გარკვეული პერიოდის ქირის გადასახადი ჩამოეწერებათ

პანდემიით დაზარალებული ბიზნესები და ადამიანები, ვინც სარგებლობენ სახელმწიფო ქონების იჯარით, ქირის უფლებით ან მართვის უფლებით აქვს გადაცემული სახელმწიფო ქონება და შესაბამისი ხელშეკრულება დადებული აქვს „ქონების მართვის სააგენტოსთან“, საგადასახადო შეღავათით ისარგებლებენ, — გუშინ შესახებ ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ, დღეს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„საქართველოს პარლამენტმა იმსჯელა ამასთან დაკავშირებით და მიიღო შესაბამისი ცვლილებები „საერთო ქონების შესახებ“ კანონში. ჩვენ კი ამ ცვლილებიდან გამომდინარე მოვამზადეთ სპეციალური წესი, რომლითაც განისაზღვრა, რომ 2020 წლის 21 მარტიდან 2021 წლის 21 მარტის ჩათვლით, ასეთ სუბიექტებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ეპატიებათ იჯარის და ქირის გადასახადი, ასევე გადაუხდელობით და დაგვიანებით გადახდით ამ პერიოდში დარიცხული სანქცია-საურავი“, — აღნიშნა თურნავამ. მისი თქმით, ჯამში საუბარია ქირა, იჯარაზე, რომლის მართვის საზღაური 5 მილიონ ლარზე მეტია. ამას ემატება გადაუხდელობიდან დაგვიანებით დარიცხული ჯარიმა მილიონი ლარი, რომელიც ასევე ეპატიება ამ სუბიექტებს.

◎ ვერნისაჟი

ორი შემოქმედი

ერთ საგამოფენო სივრცეში: მინიმალიზმი და მცირე ქანდაკება

ერთობ უჩვეულო ფორმატის გამოფენას მასპინძლობდა გასულ უქმეებზე სახელოვანი ქართველი მხატვრის ნათელა იანქოშვილის სახელობის მუზეუმი (რუსთაველის პროსპექტი 26): 9 ოქტომბერს აქ გაიხსნა რუსთავის მკვიდრი ორი შესანიშნავი შემოქმედის — მხატვარ მალხაზ დათუკიშვილისა და მოქანდაკე ზაქარია გულისაშვილის ნამუშევართა ვერნისაჟი.

თავდაპირველად გამოფენის გახსნის ცერემონიის გამძღოლმა, საქართველოს



მხატვართა ლიგის დირექტორმა **ნუგზარ მელაძემ** დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ 7 ოქტომბერს ბათუმში საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს ჩამონგრევის მსხვერპლთა ხსოვნისადმი, შემდეგ კი მადლობა გადაუხადა მუზეუმის დირექტორს **თეიმურაზ დვალიშვილს,** რომელიც წლების მანძილზე ყოველგვარი მატერიალური სარგებლის გარეშე, ხელს უწყობს სახვითი ხელოვნების ქართველ ოსტატებს პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენების გამართვაში.

კოვიდ-19-ის პანდემიის მიუხედავად ვერნისაჟის გახსნაზე შეკრებილ საკმაოდ მრავალრიცხოვან საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს ასევე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო-სადადგმო ნაწილის უფროსმა **მერაბ მერაბიშვილმა,** ახალგაზრდა თაობის ცნობილმა აღმზრდელმა, მხატვარმა **ავთანდილ არბოლიშვილმა,** თავად წარმოდგენილ ნამუშევართა ავტორებმა — მხატვარმა **მალხაზ დათუკიშვილმა** და მოქანდაკე **ზაქარია გულისაშვილმა** და სხვებმა.

უკლებლივ ყველა გამომსვლელმა პირველ ყოვლისა აღნიშნა გამოფენის უჩვეულო ფორმატი — მალხაზ დათუკიშვილის რამდენიმე ათეული შესანიშნავი ფერწერულ ტილოს გარემოცვაში დარბაზში თავს იწონებდნენ ზაქარია გულისაშვილის ლითონისგან შექმნილი მცირე ზომის ქანდაკებები. ისიც ითქვა, რომ ამ მეტად მომხიბლავი სინთეზის არც ერთი ნამუშევ-

ზაქარია გულისაშვილი (მარცხნივ) და მალხაზ დათუკიშვილი.

რისთვის ავტორებს სახელი არ დაურქმევიათ — ამან, როგორც მხატვარმა მალხაზ დათუკიშვილმა საგანგებოდ აღნიშნა, მნახველის ფანტაზია და შემოქმედების გაზიარება არ უნდა შეაფერხოს, თითოეული დამთვალიერებლის წარმოსახვა არაფრად იზღუდება.

— ზოგიერთები ჩემს ნამუშევრებს პოპ-არტის მიმდინარეობას მიაწერენ, ზოგიერთი კოლაჟებს უწოდებს, რომლებსაც მე ფერწერული ხერხებითა და გარკვეული საგნების გამოყენებით ვქმნი, — თქვა გამოფენის ერთ-ერთმა ავტორმა, მხატვარმა მალხაზ დათუკიშვილმა. **— არადა არც პირველი განმარტება შეესაბამება სიმართლეს, არც — მეორე — ესაა გარკვეულწილად მინიმალიზმი, რომელიც მცირე მხატვრული ხერხებითა და საგნების ძუნწად გამოყენებით, საკუთარი აზრისა და სათქმელის მაქსიმალურად ტევადი მოცულობითი გამოხატვით ვცდილობ. როგორ გამომივიდა ეს და რამდენად შეერწყა შექმნილი ტილოები ყოველივე ჩემი მეგობრის ზაქარია გულისაშვილის ძალიან მეტყველ ლითონის ქანდაკებებს, ეს უკვე საზოგადოებამ უნდა შეაფასოს.**

ბოლოს კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ გამოფენას დამსწრეთა უდიდესი მოწონება ხვდა წილად.

ოთარ ტურაბელიძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ნობელიატი მწერალი და ეკონომისტები

ნობელის კომიტეტმა ლიტერატურის დარგში პრემიის გამარჯვებული დაასახელა. 2021 წლის პრემიის ლაურეატი **აბდულრაზაკ გურნა** გახდა.

„ლიტერატურაში 2021 წლის ნობელის პრემია აბდულრაზაკ გურნას გადაეცემა „კულტურებისა და კონტინენტების მორევში კოლონიალიზმის შედეგებისა და ლტოლვილთა ბედის უკომპრომისო და თანაგრძნობითი მხილებისთვის“, — ნათქვამია განცხადებაში.

ეკონომიკის დარგში ნობელის პრემია **დევიდ ქარდს, ჯოშუა ანგრისტს** და **გვიდო იმბენსს** გადაეცათ.

ქარდმა ჯილდო შრომის ეკონომიკაში ემპირიული, ანგრისტმა და იმბენსმა კი მიზეზ-შედეგობრივ ანალიზში მეთოდოლოგიური წვლილისთვის მიიღეს.



მეცნიერებათა სამეფო აკადემია ყოველწლიურად გადასცემს პრემიას ეკონომიკის დარგში, იმის მიუხედავად, რომ ის არ მიეკუთვნება მათ რიცხვს, რომლებიც ალფრედ ნობელმა 1895 წლის ანდერძში დაიბარა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

კლიმატის ცვლილება მძიმე იქნება ყველაზე დაუცველი მოსახლეობისთვის

გაერო ჯანდაცვის ორგანო აცხადებს, რომ კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის გლობალური ჯანმრთელობის სფეროში მიღწეულ პროგრესს. ტემპერატურის მატებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის განსაკუთრებული რისკები მოიცავს ექსტრემალური ამინდის შედეგად მიღებულ დაზიანებებს, სიცხესთან დაკავშირებულ დაავადებებს, წყლის მეშვეობით გადამავალ დაავადებებს, ტრანსმისიურ დაავადებებს, არასრულფასოვან კვებასა და ცხოველიდან ადამიანზე გადამავალ დაავადებს.

კლიმატის კრიზისი ასევე გაზრდის ფსიქიკური ჯანმრთელობის უარყოფით შედეგებს და ჯანდაცვის სისტემას ტვირთად დააწვება.

ციკლონი ფილიპინებზე

ციკლონ „კომპასუს“ მიერ გამოწვეულ წყალდიდობასა და მეწყერს ფილიპინებზე 9 ადამიანი ემსხვერპლა, 11 კი დაკარგულად მიიჩნევა.

ქვეყნის მეტეოროლოგიური სააგენტოს ინფორმაციით, ციკლონით გამოწვეული ქარის სიძლიერე საათში 100 კილომეტრს აღწევს. ხელისუფლების განცხადებით, სახიფათო ზონებიდან ევაკუირებულია 1 600-ზე მეტი ადამიანი.

ჩინეთში სტიქია მძვინვარებს

ჩინეთის ხელისუფლების განცხადებით, ჩინეთის შანსის რაიონში ძლიერი წვიმით გამოწვეული წყალდიდობის გამო, 15 ადამიანი დაიღუპა, 13 კი, სამგზავრო ავტობუსის მდინარეში ჩავარდნის შედეგად გარდაიცვალა. ინფორმაციას „ასოშიეტიდ პრესი“ აქვეყნებს.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მძღოლმა არ გაითვალისწინა ადგილობრივი ხელისუფლების გაფრთხილება და წყლით დაფარულ ხიდზე გადასვლა სცადა, რის შემდეგაც წყლის ნაკადმა ავტობუსი მდინარეში გადააგდო. ძლიერი წვიმით გამოწვეული წყალდიდობის გამო, ჩინეთის შანსის რეგიონში 1,76 მილიონზე მეტი ადამიანი დაზარალდა. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ერთ-ერთ რაიონში ჩამოწოლილ მეწყერს ოთხი პოლიციელის სიცოცხლე ემსხვერპლა.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთაბათს, 14 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1300; ევრო - 3.6192;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2640;
100 რუბლი - 4.3688; თურქული ლირა - 0.3541;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8403;
1000 სომხური დრამი - 6.5310.

ამინდი 13 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge